საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 28 თებერვალი. 2017 წ. №45 (8182), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ხალხისა და ეკლესიის ერთიანობა!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია შეშფოთებით ადევნებს თვალს საქართველოს საპატრიარქოს გარშემო შექმნილ აჟიოტაჟს და მთელ ქართველ საზოგადოებასთან ერთად შეწუხებულია ამ მეტად არაჯანსაღი ვითარებით, რადგანაც საქმე ეხება ქვეყნის ყველაზე მაღალი ავტორიტეტითა და ნდობით მოსილ ინსტიტუციას - საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას, რომლის როლი და მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია ქართველი ერის სულიერი და კულტურული მთლიანობის ჩამოყალიბებასა და მის შემდგომ განმტკიცებაში. ჩვენს განცდებს კიდევ უფრო ამძაფრებს ის გარემოება, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაური, ერის სულიერი მამა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ამავე დროს ბრძანდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი, რომლის ღვაწლი და ამაგი თანამედროვე საქართველოს ისტორიაში განუზომელია. მისი დაუღალავი მოღვაწეობის შედეგია საქართველოს ეკლესიის აღმავლობა და ქართველი ხალხის სულიერ-სარწმუნოებრივი აღორძინება. თავად მეცნიერს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული მეცნიერებისა და სულიერების გამთლიანებაში. დიდია მისი წვლილი ეროვნული კულტურის განვითარებაში. დღეს, როგორც არასდროს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკლესიისა და ხალხის ერთიანობა. ეჭვი არ გვეპარება, რომ ვნებათაღელვა და შფოთვა, რომელმაც ბოლო დღეებში მოიცვა საზოგადოება, მალევე ჩაივლის, ყველაფერი დაუბრუნდება ჩვეულ კალაპოტს და ყოველგვარ გაუგებრობას საქართველოს ეკლესიისა და პატრიარქის უდიდესი ავტორიტეტი და საზოგადოების ერთსულოვნება სამუდამოდ გაფანტავს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია კვლავინდებურად საქართველოს ეკლესიისა და მისი ღირსეული მეთაურის გვერდითაა და მტკიცედ სჯერა, რომ პატრიარქის სიბრძნითა და ძალისხმევით გადაილახება დროებითი გაუგებრობა, რომელსაც ობიექტური საფუძველი არ გააჩნია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

რა იმალება „ციანიდის საქმის“ უკან



4

არმაზ სანებლიძის ექსკლუზიური ინტერვიუ ანზორ მაისურაძესთან

◎ დღის ამოჭრაზურიდან

— აშკარად მავნებელი ნაციონალის რომან გოცირიძის აზრით, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მოსამართლეები სამარცხვინოდ შევლენ ისტორიაში, თუ საქმეს ნიკა გვარამიას სასარგებლოდ არ გადაწყვეტენ. იცის კაცმა, რას ერჩით! თვითონ უკვე კარგა ხანია, სამარცხვინოდ შესულია იმ ისტორიაში, რომელიც ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის დროს გააბინძურა.

აკი ძველი ნათქვამია, ყველა ქურდსა და ბოზს სხვაც ქურდი და ბოზი ჰგონიაო...

ბექას „ოქროს“ ილეთი

9

ნატოს გაფართოების ალტერნატივა - „მუდმივი ნეიტრალიტეტის“ სტატუსი საქართველოსთვის

6

დიმიტრის ავრამოპულოსი: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ევროპაში!

საქართველო უკვე დღეს მნიშვნელოვან გზავნილს უგზავნის ევროპას. გილოცავთ და კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, – ამის შესახებ მიგრაციის, საშინაო საქმეთა და მოქალაქეობის საკითხებში ევროკომისარმა დიმიტრის ავრამოპულოსმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო შეინარჩუნებს პროგრესის დონეს და ის კვლავ წარმატებებს მიაღწევს და გააგრძელებს იმავე პასუხისმგებლობით, რომ შესრულდეს დაკისრებული მოვალეობები. უვიზო მიმოსვლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მთელი რიგი რეფორმები იქნება სარგებლის მომტანი თქვენი ქვეყნისთვის.

საქართველო გახლავთ შესანიშნავი მაგალითი პროგრესისა და რეფორმების. ეს გახლავთ წინგადადგმული ნაბიჯი ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე ევროკავშირის პერსპექტივების კუთხით. ევროკავშირი მოუთმენლად ელოდება, რომ მიესალმოს საქართველოს მოქალაქეებს, მალე უკვე როგორც ტურისტებს, მეგობრებს და ოჯახებს, რათა გაზიარებული იყოს კულტურული თუ სპორტული, ბიზნეს და სასწავლო ღონისძიებები. იყო ევროკავშირის წევრი – ეს ნიშნავს, რომ იყო ნაწილი მშვიდობის, ტოლერანტობის, სტაბილურობის, პროგრესის და კეთილდღეობის. საქართველო უკვე დღეს მნიშვნელოვან გზავნილს უგზავნის ევროპას. გილოცავთ და კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, – განაცხადა მიგრაციის, საშინაო საქმეთა და მოქალაქეობის საკითხებში ევროკომისარმა დიმიტრის ავრამოპულოსმა.

ევროკავშირის საბჭომ 2017 წლის 27 თებერვალს მიიღო რეგულაცია საქართველოს მოქალაქეებისათვის ვიზალიბერალიზაციის შესახებ.

მარტის ბოლოდან საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ ისარგებლონ მოკლევადიანი უვიზო მიმოსვლით შენგენის წევრ ქვეყნებთან

ამის **შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილისა და მიგრაციის, საშინაო საქმეთა და მოქალაქეობის საკითხებში ევროკომისარ დიმიტრის ავრამოპულოსის შეხვედრაზე აღინიშნა.**

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხები განიხილეს და ხაზი გაუსვეს უვიზო მიმოსვლის ამოქმედების მნიშვნელობას საქართველოს ევროპასთან დაახლოების კუთხით.

ევროკომისარმა კიდევ ერთხელ აღნიშნა საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი ყველა მიმართულებით და განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობის ძალისხმევით გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები, რასაც სათანადოდ აფასებს ევროკავშირი.

გიორგი კვირიკაშვილმა მადლობა გადაუხადა დიმიტრის ავრამოპულოსს საქართველო-ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესში პირადი ძალისხმევისთვის.

პრემიერ-მინისტრმა და ევროკომისარმა ისაუბრეს საქართველოს ევროინტეგრაციის დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებზე, მიგრაციისა და უსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე. გამოთქვა იმედი, რომ ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველო გააგრძელებს წარმატებულ რეფორმებს.

შეხვედრას საქართველოს მხრიდან სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ვიქტორ დოლიძე, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საგარეო ურთიერთობების საკითხებში თედო ჯაფარიძე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვახტანგ მახარობლიშვილი დაესწრნენ.

საქართველოს საგარეო უწყება

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ რეგულაციის დამტკიცებას გვილოცავს!

გუშინ, 27 თებერვალს ევროკავშირის საბჭომ დაამტკიცა 539/2001 რეგულაციის ცვლილება, რომელიც საქართველოს მოქალაქეებისათვის უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღებას ითვალისწინებს. ეს საბოლოო ნაბიჯია სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

„ვულოცავთ საქართველოს ყველა მოქალაქეს ამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას. მოხარული ვართ, რომ საქართველოს მთავრობის ძალისხმევამ რეფორმების განხორციელების პროცესში შედეგი გამოღო და ევროკავშირის სამივე ინსტიტუტმა უკვე საბოლოო თანხმობა გამოხატა საქართველოსთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკითხთან დაკავშირებით.

1 მარტს განახლებულ რეგულაციას ხელი მოეწერება ევროპარლამენტის პრეზიდენტისა და ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის წარმომადგენლის მიერ და რამდენიმე დღეში გამოქვეყნდება ოფიციალურ ჟურნალში. გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ მოკლევადიანი ვიზიტით უვიზოდ გაემგზავრონ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში.

უვიზო მიმოსვლის შემოღება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე და კიდევ უფრო აახლოებს საქართველოს ევროპასთან. ეს შედეგი ადასტურებს, რომ ევროკავშირი საქართველოს სანდო პარტნიორად მიიჩნევს. ამასთან, ეს მიღწევა საქართველოს მთავრობისთვის დამატებითი ბიძგის მიმცემია საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური რეფორმების გასაგრძელებლად.

ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია ხელშესახები კონკრეტული სარგებლის მომტანი იქნება საქართველოს მოქალაქეებისათვის. უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ჩვენს საზოგადოებებს შორის მჭიდრო ტურისტული, საგანმანათლებლო-კულტურული და ბიზნეს ურთიერთობების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს და წვლილს შეიტანს საქართველოში ევროპული ფასეულობებისა და იდეების დამკვიდრებასა და განმტკიცებაში.

მნიშვნელოვანია, რომ უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული ყველა სარგებელი ხელმისაწვდომი იქნება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჩვენი მოქალაქეებისათვის და შეუქმნის მათ მოტივაციას ისარგებლონ საქართველოს პასპორტებით.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს თითოეული მოქალაქე განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდოს საკუთარ ვალდებულებებს და ზედმიწევნით დაიცვას უვიზო მიმოსვლის პირობები“, – აცხადებენ საქართველოს საგარეო უწყებაში.

◎ შარიანი დემაგოგები

რურუა და კაპანაძე ძველებურად მიაჭენებენ...

დღე **ერთია და საყაყანო ათასი. მზე ისე როგორ დახუჭავს თვალს, რომ ჩვენმა ოპოზიციამ საკბილო ვერ გამოჩხრიკოს. ისე დასპეცდნენ „სენსაციების მოზღვავებაში“, „ფაქტებს“ პირდაპირ ციდან კრეფენ.** აი, იმ დღესაც, ტრიბუნაზე ნიკა რურუა აიჭრა – ყოფილი კულტურის მინისტრი, ყოფილი ავტომატიანი მხედრიონელი და საქართველოს ამცნო, რომ ხელისუფლებამ კვლავ ყელი გამოსჭრა ქვეყნის ინტერესებს. ეს სისხლიანი ტერორისტული აქტი თურმე აფხაზეთის რკინიგზის გახსნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შედეგად შემდგარა. ეს თვითმკვლელური აქტი ამ დღეებში საქართველოში სომხეთის პრემიერ-მინისტრ კარენ კარაპეტიანის ვიზიტის დროს მომხდარა – მოლაპარაკებისას სტუმარს ქართველი კოლეგისგან აფხაზეთის რკინიგზის გახსნის პირობა მიუღია.

ჰოდა, ნიკა რურუა ტრიბუნას ხრავს: აფხაზეთის რკინიგზის გახსნა სასიკვდილო ჭრილობას მიაყენებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, გამორიცხავს დევნილების დაბრუნებას, ასევე გამორიცხავს ჩვენი არაღიარების პოლიტიკის შენარჩუნებას და საერთოდ საქართველოს ერთიანობის და სუვერენიტეტის აღდგენას ამ ტერიტორიაზეო. თქვა და მოვალეობის ოფლი მოიწმინდა მამულიშვილური შუბლიდან.

„რუსთავი-2“-ს მიფიჩინებულ მაყურებელსაც მეტი რა უნდოდა და უმალ ახმაურდა: ხედავთ რა დღეში ვართ, როგორ გვყიდის ხელისუფლება, როგორ გვჭრის ყელს?!.

არადა, ნაცების ყოფილ მინისტრს გეოპოლიტიკის ან დიპლომატიის რაიმე რომ გაეგებოდეს, ასეთ სისულელეს არ იტყოდა. თანაც, სომხეთისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრებს აფხაზეთის რკინიგზის აღდგენის შესახებ რაიმე მოლაპარაკება საერთოდაც არ ჰქონიათ!

საქართველოს მმართველი გუნდი იფიცება, რომ საქართველო-სომხეთის დამაკავშირებელი რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის პრობლემა ჯერჯერობით დღის წესრიგში არ დგას.

პირველად მესმის, ეს არ არის სწორი ინფორმაცია. მთავრობაში ამ პროექტთან დაკავშირებით მსჯელობა არ ყოფილა – ირწუნება ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე.

ამ ეტაპზე ეს საკითხი არ განიხილება. ეს არის დაკავშირებული კონფლიქტის მოგვარების თემასთან, დეოკუპაციასთან და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ამ საკითხის განხილვა. სხვა შემთხვევაში ეს საქართველოს ინტერესებში არ შედის. ჩვენი მხრიდან ეს თემა დღის წესრიგში არ დგას – განაცხადა საქართველოს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი ცქიტიშვილიც.

არადა, სიმართლეს ვინ დაგიდევს, ნიკა რურუა ჩვეულებისამებრ თავისას მიაჭენებს. ისიც და საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, რურუაზე უფრო ბრიყვი და „გაულაწუნეს“ მშვენიერი პროტოტიპი სერგი კაპანაძეც.

თუმცა რა გასაკვირია, მათ ხომ სიმართლეც და საქართველოს ინტერესებიც ფეხებზე ჰკიდიათ. მთავარია, „სენსაციის“ გამოწურვა და ხალხის ტვინის ამღვრევა! მთელი ნაციონალური მოძრაობა, თავისი განაყოფებიანად ხომ სწორედ ამ მიზნით არსებობენ და ჩასაფრებული მტრის როლსაც დაუღალავად ასრულებენ!

სანდრო ალექსიძე

მეუფე დიმიტრი და შორენა თეთრუაშვილი ნათესავებიც ყოფილან!

ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრი შიოლაშვილი პატრიარქის მდივან-რეფერენტ შორენა თეთრუაშვილთან დაპირისპირებას უარყოფს.

„ეს მხოლოდ ჭორებია. ადამიანები ხანდახან გარკვეულ საკითხებზე კამათობენ, მე და შორენასაც გვქონდა მსგავსი კამათი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ დაპირისპირებულები ვართ ან ერთმანეთს მტრებად მოვიაზრებთ. მეტიც, შორენასთან ნათესაური კავშირიც მაქვს — ის ჩემი შვილიშვილის ნათლიაა. აქ მთავარი კითხვაა, რატომ ვერ ჩამოყალიბდა პროკურატურა საკუთარ პოზიციაში და რატომ გვესმის, რომ ხან მაღალი იერარქიის სასულიერო პირის, ხანაც შორენა თეთრუაშვილის ლიკვიდაცია იგეგმებოდა? ერთმა დეპუტატმა ისიც კი თქვა, იქნებ დეკანოზს გერმანიაში ციანიდი გასაყიდად მიჰქონდაო. ფაქტია, ეს ორაზროვანი განცხადებები მთელ ამ პროცესს არასერიოზულს ხდის. შორენა თეთრუაშვილი 35 წელია, პატრიარქის პირადი მდივან-რეფერენტია. კარგად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას თუ ავად, ეს მხოლოდ პატრიარქის გადასაწყვეტია. ასე რომ, არც მეუფე პეტრეს, არც მე და არც ვინმე სხვას აქვს უფლება, პატრიარქს უთხრას, შორენა თეთრუაშვილი მრჩევლად თუ მდივნად ნუ გეყოლებაო“, — განაცხადა მეუფე დიმიტრიმ.

„პატრიარქის ბეჭედი არ დაკარგულა“!

საპატრიარქოს პროტოპრესვიტერი გიორგი ანდრიაძე უარყოფს იმედის დროში გასულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც პატრიარქის ბეჭედი დაიკარგა და ის უწმინდესთან შეთანხმების გარეშე იქნა გამოყენებული.

„მინდა, მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ პატრიარქის ბეჭედი არ დაკარგულა. პატრიარქს აქვს ბეჭედი, რომელიც აქვს უშუალოდ მას და არავის აქვს უფლება ამ ბეჭედზე. პატრიარქი ბეჭედს იყენებს ქონებრივი საკითხების გადაწყვეტასთან, ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებით. მასზე ხელი არავის არ მიუწვდება“, — განაცხადა პროტოპრესვიტერმა.

მეუფე პეტრეს უშრეტი ფანტაზია



მამა გიორგის ციანიდი **საპატრიარქოს ერთ-ერთმა გავლენიანმა პირმა მისი ნათესავი ოქრომჭედილისთვის სთხოვა** — ეს განცხადება ჭყონდიდის მიტროპოლიტმა, მეუფე პეტრე ცაავამ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, გადაცემა „იმედის დროში“ საუბრისას გააკეთა. მეუფე პეტრემ ე.წ. ციანიდის საქმესთან დაკავშირებით ისაუბრა და განაცხადა, რომ მამა გიორგი მამალაძე ჩათრეულ იქნა წინასწარ მომზადებულ სცენარში. მეუფე პეტრე ცაავა საქმეში ჟურნალისტ ირაკლი მამალაძის ჩართულობაზეც ამახვილებს ყურადღებას.

ჭყონდიდის ეპარქიაში ძალიან დიდი ფუფუნება სუფევს!

„ცოტა დიდი ფუფუნება არის ჭყონდიდში“ — ასე პასუხობს მამა გიორგი ანდრიაძე ჟურნალისტებს კითხვაზე, საჭირო არის თუ არა საპატრიარქოს დაქვემდებარებულ ბიზნესსა და ფინანსურ ნაწილს ჩაუტარდეს აუდიტი. ანდრიაძის თქმით, საპატრიარქოს აბსოლუტურ უმრავლესობაში, მათ შორის, ჭყონდიდის ეპარქიაში ყველაფერი კარგად არის ბუღალტრულად გაფორმებული, „უბრალოდ, ცოტა დიდი ფუფუნება არის ჭყონდიდში“.

„მობრძანდით, ოღონდ მეც უნდა ჩამსვათ აუდიტებმა, დავიწყოთ თუნდაც ანბანის მიხედვით და შევამოწმოთ, მათ შორის, ჭყონდიდის ეპარქიაც, ძალიან დიდი ფუფუნება სუფევს იქ. წამობრძანდით თქვენც“, — მიმართა ანდრიაძემ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტს.

ქართული ეკლესია ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და ეროვნულობის ბურჯია

საერთაშორისო ასოციაცია **„საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ შეშფოთებულია იმ ვითარებით, რომელიც შეიქმნა მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოს საპატრიარქოს ირგვლივ პრესითა და ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაციების საფუძველზე.**

ამ ინფორმაციებში გაცხადებულმა სავარაუდო ფაქტებმა საპატრიარქოში შექმნილი დაპირისპირებებისა და მაღალი იერარქიის სასულიერო პირების მოწამვლის მცდელობის შესახებ, რის გამოც დაპატიმრებულია დეკანოზი გიორგი მამალაძე, საზოგადოებაში შოკური მდგომარეობა გამოიწვია. გამოძიების დამთავრებამდე მსგავსი ვერსიების გავრცელება შეუსაბამოდ მიგვაჩნია. მოვითხოვთ სწრაფ და სრულფასოვან გამოძიებას, რათა დადგინდეს სიმართლე.

ჩვენი ასოციაციის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები, რომელთა შორის ბრძანდებიან საზოგადოებისთვის ცნობილი ქალბატონები ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა სფეროდან, გამოხატავენ სრულ ნდობასა და მხარდაჭერას ქართული ეკლესიის მიმართ, რომელიც საქართველოში სახელმწიფოებრიობის, ეროვნულობისა და ქართველი ხალხის ერთობის მტკიცე ბურჯია. შექმნილ მძიმე ვითარებაში ღრმა რწმენას, სიყვარულსა და თაყვანისცემას გამოვხატავთ უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისადმი და

გვჯერა, რომ მისი ღვთივბოძებული სიბრძნით, ერუდიციით, შორსმჭვრეტელობითა და კაცთმოყვარეობით ნათელი მოეფინება სიმართლეს, საქართველო გაძლიერდება და გაბრწყინდება.

მაია კვეზერელი-კოპაძე,
საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ თავმჯდომარე

1 მარტის პარლამენტის რიგგარეშე სხდომა გაიმართება

დღეს ბიუროს სხდომაზე **პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ბიუროს წევრებს 1 მარტის 12 საათიდან პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება გააცნო. პარლამენტის თავმჯდომარემ პლენარულ სხდომაზე განსახილველ საკითხებზე და ახალ საკანონმდებლო ინიციატივებზე პარლამენტის წევრებს ინფორმაცია გააცნო და რიგგარეშე სხდომის მუშაობის რეგლამენტზე ისაუბრა.**

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ირმა ინაშვილმა ბიუროს წევრებს რიგგარეშე სხდომაში ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ მონაწილეობის არმიღებაზე განცხადება გააკეთა და განმარტა, რომ სხდომაზე დასწრების ბოიკოტი ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ წარმოდგენილ კანონპროექტებს უკავშირდება,რომელსაც ფრაქცია მხარს არ უჭერს. იგი ნდობის ჯგუფის, საპროკურორო საბჭოს და სხვადასხვა მუდმივმოქმედი დელეგაციების კვოტირების საკითხსაც შეეხო და პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებით კომისიაში თავმჯდომარის მოადგილედ ფრაქციის წევრის ადა მარშანიას დანიშვნა მოითხოვა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ირმა ინაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა და ის საკითხები განმარტა, რომლებიც მისმა მოადგილემ ბიუროს სხდომაზე წამოაყენა.

„კვოტები გადანაწილდა იმ პროპორციის შესაბამისად, რომლითაც არიან პოლიტიკური ძალები წარმოდგენილი პარლამენტში და, უფრო მეტიც, მცირე ფრაქციებს მიენიჭათ უპირატესობა. დელეგაციებში პროპორციულად უფრო მაღალი კვოტით არიან წარმოდგენილი მცირე ფრაქციები, ვიდრე მსხვილი ფრაქციები. ეს არის რეალობა. სავსებით სამართლიანად იქნა გადანაწილებული როგორც დელეგაციებში, ისე სხვა ანალოგიურ შემთხვევებში ეს კვოტები და აქედან გამომდინარე კრიტერიუმებთან დაკავშირებით მე არა მგონია, რომ კითხვები შეიძლება დაისვას.

საპროკურორო საბჭოსთან დაკავშირებით კანონმდებლობით სხვა წესია დადგენილი. რაც შეეხება ნდობის ჯგუფს, აქ ნამდვილად იყო ერთგვარი უხერხულობა. თავის დროზე გაჭიანურდა ნდობის ჯგუფის ჩამოყალიბება, მას შემდეგ ჩამოყალიბდა „ნაციონალური მოძრაობის“ ახალი ფრაქცია და დღეს შვიდმა კაცმა უნდა წარადგინოს ნდობის ჯგუფში წევრი. გამომდინარე იქიდან, რომ შვიდი კაცი არ გროვდება უმრავლესობის და უმცირესობის გარეთ, ამიტომ ვერ ხერხდება მეხუთე წევრის წარდგენა ნდობის ჯგუფში, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

აფხაზეთის რკინიგზის აღდგენასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების მიმდინარეობა ოპოზიციის მორიგი სიცრუეა!

საქართველოსა და სომხეთის მთავრობებს შორის, აფხაზეთის რკინიგზის აღდგენასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების მიმდინარეობას, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე უარყოფს. მისი თქმით, ოპოზიცია ძალიან ბევრ სიცრუეს ამბობს.

„პირველად მესმის, ეს არ არის სწორი ინფორმაცია. მსჯელობაც კი არ ყოფილა მთავრობაში ამ კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებით. ოპოზიცია ბევრ რამეს ამბობს და ძალიან ბევრ სიცრუეს,“ — აცხადებს კახი კალაძე.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის რკინიგზა გაიხსნება, რისი საფუძვლიანი ეჭვიც არსებობს, ეს გამორიცხავს როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ასევე დევნილების დაბრუნებას და არაღიარების პოლიტიკის შენარჩუნებას. აღნიშნულთან დაკავშირებით გუშინ გამართულ ბრიფინგზე პარტიის წარმომადგენელმა ნიკა რურუამ ისაუბრა.

რურუას განცხადებით, საქართველოში სომხეთის პრემიერის ვიზიტის შემდეგ, საფუძვლიანი ეჭვი გაჩნდა, რომ მან და კვირიკაშვილმა აფხაზეთის რკინიგზის აღდგენაზე ისაუბრეს. ეჭვს საფუძვლიანს ხდის აღნიშნულთან დაკავშირებით კარაპეტიანის მკაფიო განცხადებაც, რაც შემდგომ სომხურმა და რუსულმა მედიამაც დაადასტურა და აღნიშნა, რომ ლარსის ალტერნატიული ეკონომიკური გზა გაიხსნება.

„რუსთავი-2“-ის საქმის განხილვა 2 მარტს ჩაინიშნა

სხდომა ზეპირი მოსმენის გარეშე, „რუსთავი-2“-ის მხარეთა დაუსწრებლად გაიმართება.

უკვე ცნობილია იმ 9 მოსამართლის ვინაობა, რომელიც სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის საქმეს განიხილავს: მზია თოდუა, ნინო გვენეტაძე, ვასილ როინიშვილი, ეკატერინე გასიტაშვილი, პაატა ქათამაძე, ბესარიონ ალავიძე, მაია ვაჩაძე, ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი შავლიაშვილი.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით „რუსთავი-2“-ის საქმის განხილვა 2 მარტს ზეპირი მოსმენის გარეშე გაიმართება.

ქიბარ ხალვაშის ადვოკატმა უზენაეს სასამართლოს 3 მოსამართლის აცილების შუამდგომლობით მიმართა

ქიბარ ხალვაშის ადვოკატმა უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა და მოითხოვა იმ 3 მოსამართლის აცილება, რომლებმაც გადასცეს საქმე განსახილველად დიდ პალატას. ეს მოსამართლეები არიან ეკატერინე გასიტაშვილი, პაატა ქათამაძე და ბესარიონ ალავიძე.

როგორც ადვოკატმა განაცხადა, კოლეგიის წევრებმა დიდ პალატას განუსაზღვრეს, თუ რა საკითხებზე უნდა გაამახვილონ ყურადღება საქმის განხილვისას...

რა იმალება „ციანიდის საქმის“ უკან



თითქოს ამოიწურა ვერსიები ე.წ. ციანიდის საქმეზე, ვინც არ დაიზარა, ეკრანზე გამოგვეცხადა თავისი ორიგინალური ხედვითა და დასკვნებით.

გაბერეს, გაბუქეს, გაამასშტაბეს.

არ გაგიკვირდეთ, რადგან ევროპული ლიტერატურის კლასიკოსი ბერნარდ შოუც ასე იქცეოდა და ასე წერდა. ამასვე ქადაგებდა: „თქვენი იდეა ისე უნდა გაბუქოთ, რომ აიძულოთ ადამიანები, წამოხტნენ და გისმინონ ყურადღებით, თანაც დააშინოთ იმგვარად, რომ მოქმედება დაიწყონ“.

მეეჭვება, რომ დეკანოზ მამალაძის საქმეზე ვერსიების გამავრცელებლებს წაუკითხავთ შოუს ეს შეგონება. მაგრამ გათავისებული რომ აქვთ, ნაღდია.

მოგვიმრავლდნენ კლასიკოსები საქართველოში.

ამ პუბლიკაციის მიზანი მოკრძალებულია: პროფესიული შეფასება ვთხოვოთ უშიშროების გენერალ-მაიორს **ანზორ მაისურაძეს.**

— ასეთი აჟიოტაჟი თქვენ დროს რომელიმე საქმეზე თუ იყო ატეხილი?

— არა, არასოდეს ყოფილა და არავის უცდია მსგავსის გაკეთება. ჩვენი მიზანი და დანიშნულება სულ სხვა იყო, ჩვენი პრაქტიკული საქმიანობა სხვა კალაპოტით წარიმართებოდა.

— კერძოდ?

— გეტყვით. ვთქვათ, უშიშროების კომიტეტის მეხუთე განყოფილებამ, რომელსაც ერთ დროს ვხელმძღვანელობდი და რომლის ფუნქციაშიც სხვა დარგებთან ერთად ეკლესიის კურირებაც შედიოდა, მიიღო მსგავსი ოპერატიული ინფორმაცია. მომახსენეს, რომ კონკრეტული პირი აპირებს კალიუმციანიდის ყიდვას (ან უკვე ნაყიდი აქვს), განზრახული აქვს, გაემგზავროს გერმანიაში და იქ მავანი მნიშვნელოვანი ფიგურის ლიკვიდაცია განახორციელოს.

რას ვაკეთებ ამ დროს მე, როგორც განყოფილების უფროსი?

მიღებულ ინფორმაციას მოვახსენებ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, გენერალ ალექსი ინაურს, თან ვთავაზობ ჩემს მოსაზრებას, რის გაკეთებას ვაპირებთ შექმნილ სიტუაციაში. ვარიანტი ორია: ან გავაფრთხილოთ ეს პიროვნება და ვურჩიოთ, ხელი აიღოს განზრახულის განხორციელებაზე, ან დავიწყოთ ეჭვმიტანილის დამუშავება.

ინაური იღებს გადაწყვეტილებას და მეუბნება: უკეთესი იქნება, თუ გავაფრთხილებთ, რადგან ჩვენი მიზანი არ არის მაინცადამაინც ადამიანის დაპატიმრება.

თუ იქნებოდა ასეთი დირექტივა, ჩვენ დავუძახებდით ამ კაცს და ვეტყოდით, რომ ყველაფერი ვიცით მისი განზრახვის შესახებ. გავაფრთხილებდით, თავიდან ამოეგდო ეს ჩანაფიქრი, თორემ დავაპატიმრებდით და თავს დაიღუპავდა.

გააკეთებდა?

— არა, რა თქმა უნდა.

— არ გააკეთებდა. მეორე ვარიანტი: თუ გვექნებოდა საფუძველი იმისა, რომ აღნიშნული პიროვნება ამ დანაშაულის ნამდვილად ჩამდენია, რომ ბოროტ განზრახვაში მონაწილეობენ სხვა შეთქმულებიც და საქმე სახელმწიფოს უშიშროებას შეუქმნიდა საფრთხეს, შევუდგებოდით ამ კაცის დამუშავებას.

ორივე ვარიანტი განხორციელდებოდა ყოველგვარი გახმაურების გარეშე. სხვათა შორის, ამით დაცული რჩებოდა ადამიანის უფლებები და, მათ შორის, უდანაშაულობის პრეზუმფციაც.

— დამუშავებაში რა იგულისხმებოდა?

— ეჭვმიტანილი ადამიანის საფუძვლიანი შემოწმება. ყველანაირი: რას წარმოადგენს ეს ადამიანი თავისი ბიოგრაფიით, რა ურთიერთობა აქვს საზოგადოებრიობის წევრებთან, როგორი დამოკიდებულება — სახელმწიფო ინსტიტუტებთან, ეკლესიასთან. როგორ ახასიათებენ მას თანამშრომლები, ნაცნობები, ახლობლები; ვინ არიან მისი ოჯახის წევრები.

ამ ფართო სპექტრის გასარკვევად გამოვიყენებდით ოპერატიული მუშაობის ყველა ფორმას — მისი საუბრების ფარულ ჩაწერას (კანონით დადგენილი ნებართვის მიღების საფუძველზე, თვალთვალს და ა.შ.).

ასეთი დამუშავება შეიძლება გაგრძელებულიყო ერთ, ორ, სამ წელიწადს — სანამ არ დაგროვდება საკმარისი მასალა, ეჭვმიტანილის ბრალეულობის დასამტკიცებლად.

— ამასობაში ამ კაცს ხომ შეეძლო ჩაფიქრებული დანაშაულის განხორციელება?

— ვერ შეძლებდა, რადგან უშიშროება აკონტროლებდა მის ყველა ნაბიჯს.

— მასალებს ვაგროვებდითო, ბრძანეთ თქვენ. ეს როგორ უნდა გავიგოთ?

— მასალებში, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება მოწმეთა ბაზის შეგროვების შესახებ, რომ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაცია იყო ნამდვილი; უნდა მოგვეპოვებინა აუდიო და ვიზუალური მასალები, ანუ დოკუმენტურად განმტკიცებული ბრალდება, რათა ეჭვმიტანილს რომც არ ეღიარებინა, დანაშაული ფაქტობრივად დამტკიცებული იქნება. ამ მასალებს რომ წარვუდგენდით, როგორც წესი, იძულებული გახდებოდა, ხელები აეწია.

— ამ ჭრილში „ციანიდის საქმის“ გამო განხორციელებულ ოპერატიულობას როგორ ახსნით?

— უნდოდათ ეჭვმიტანილის დაჭერა და დაიჭირეს. არადა, შეეძლოთ გაფრთხილება. ეტყობა, სურდათ დაჭერა, რათა კომპრომენტირება მოეხდინათ ამ კონკრეტული პიროვნების და მისი სახით ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისთვის. ეკლესიის კომპრომენტაცია კი ნიშნავს ქვეყნის სტაბილურობის შერყევას.

— თქვენ გინდათ, თქვათ, რომ უშიშროების ქმედება მიმართული იყო ქვეყანაში არეულობის გამოსაწვევად?!

— მე კი არ მინდა, არამედ ლოგიკურად, შედეგის მიხედვით ასე გამოვიდა. ისტერიკა, რომელიც მასმედიაში და პოლიტიკურ კლანშია ატეხილი, მოწმობს, რომ სურდათ თუ არა, მდგომარეობა დაიძაბა, აირია და ხელისუფლება გადავიდა სიტუაციის დასამშვიდებელი ღონისძიებების განხორციელებაზე, ნაცვლად იმისა, რომ მთელი ძალები ქვეყნის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური და სხვა პრიორიტეტული პრობლემების გადასაწყვეტად წარმართოს.

— ესე იგი, სახეზეა მასშტაბური პროვოკაცია? იქნებ, საიდუმლო ოპერაციაც კი?

— ასე გამოდის.

— გაქვთ ეჭვი, თუ ვინ, რა ძალები წარმართავენ ამ ოპერაციას?

— მე მხოლოდ მიგანიშნებთ, დასკვნები კი თქვენმა მკითხველებმა გააკეთონ. გაგახსენებთ, რომ ჯერჯერობით არავის უთქვამს უარი ერთ დროს პრეზიდენტ კარტერის მრჩევლის ზბიგნევ ბჟეზინსკის დოგმაზე: **„საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენი მთავარი მტერი იძნება მართლმადიდებლობა“.**

საქართველოში ჩამოსულ ბჟეზინსკის „კვირის პალიტრის“ კორესპონდენტი ზურაბ მჭედლიშვილი რომ შეეკითხა, რას ნიშნავს თქვენი ასეთი დასკვნაო, კამათსა და წინააღმდეგობებს შეჩვეული ეს სახელმწიფო მოღვაწე ისეთ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ისე ეცვალა ფერი და დაიბნა, რომ ვერაფერი უპასუხა.

— ხოლო როდესაც სხვა დროს, სხვაგან და სხვა კორესპონდენტმა დაუსვა შეკითხვა (ეს იყო ცათამბჯენ „ტყუპების“ აფეთქებამდე), საშიში ხომ არ არის მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის ბენ ლადენის იარაღით მომარაგება, მან უპასუხა: „ეს საიდუმლო ოპერაცია შესანიშნავი იდეა იყო. მისი მიზანი ავღანეთის ხაფანგში რუსების შეტყუება იყო, და თქვენ გსურთ, რომ მე დავინანო ამის გამო?“

ესეც ერთი მაგალითი იმისა, თუ სად უნდა ვეძებოთ საიდუმლო ოპერაციების მოწყობის დიდოსტატები.

— მე არაერთხელ მითქვამს, თუ ვინ წარმართავს ჩვენი სპეცსამსახურების საქმიანობას, ამიტომ არაფერს გამოვრიცხავ.

მაგრამ ისიც უნდა დავუმატო, რომ „ციანიდის“ შემთხვევაში ყველაფერი ძალიან არაპროფესიულად გაკეთდა. იმდენად არაპროფესიულად, რომ ძალიან დიდი აღშფოთება გამოიწვია ხალხში. ჩემში — განსაკუთრებით.

მე ყოველთვის იმის მომხრე ვიყავი, რომ საზოგადოებისთვის ეს საქმე გამოძიების დამთავრების შემდეგ უნდა გასაჯაროებულიყო. მაგრამ ახლა, გახმაურების ამ ფონზე რაგინდ კონკრეტული მასალები დადოს პროკურატურამ, ყველაფერს ფასი ექნება დაკარგული. ამას ხელი შეუწყო პოზიციების გაუგებარმა ცვლილებამაც — დანაშაულში ეჭვმიტანილს თურმე პატრიარქის მოკვლა კი არ ჰქონდა განზრახული, არამედ მისი რეფერენტის — შორენა თეთრუაშვილის და სხვა ამგვარი.

ხომ არ შეიძლება საქმის ასე გამასხარავება?

ხალხის დაჭერაზე ადვილი რა არის? მაგრამ საჭიროა კი?

ერთ-ერთ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გახურებულ ანტისაბჭოთა პროპაგანდას ეწეოდნენ. ყველამ იცის, რომელ ინსტიტუტზე ვლაპარაკობ.

გავამზადეთ ანალიტიკური ცნობა და მოვახსენეთ კომიტეტის თავმჯდომარეს. ინაური ჩვეულებისამებრ დაელოდა ჩემს წინადადებას — რას შევთავაზებდი მდგომარეობის გასანეიტრალებლად.

ჩემი მოსაზრება ასეთი იყო: აღნიშნული ინფორმაცია მიგვეწოდებინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისთვის, ბატონ ნიკო მუსხელიშვილისთვის, რომელიც უეჭველად მოაგვარებდა ამ საჩოთირო სიტუაციას.

ინაური დამეთანხმა.

ინფორმაცია მივუტანე ბატონ ნიკოს. ჩემი თანდასწრებით დაიწყო კითხვა და სულ ვაი-ვაის იძახდა ეს ბუმბერაზი მეცნიერი და პიროვნება.

ბოლოს — რა ვქნათო, მკითხა.

როგორც საჭიროდ მიგაჩნიათ, ისე მოიქეცით-მეთქი. უმჯობესი იქნება, შეკრიბოთ თქვენი ეს თანამშრომლები და გააფრთხილოთ. თუ ყურად არ იღებენ თქვენს რჩევას, იძულებული შევიქნებით, ვაცნობოთ ეს ამბავი კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც უეჭველად მოგვცემს ისეთ დირექტივას, რომ თქვენს ხალხს ვეღარაფრით ვუშველით-მეთქი.

მან გაითვალისწინა ჩვენი შეთავაზება და ვითარებაც კალაპოტში ჩადგა.

მაგრამ სრული უფლება გვქონდა ასე არ მოვქცეულიყავით: აგვეტეხა დავიდარაბა, გამოგვექვეყნებინა პრესაში მწვავე მასალა და ინსტიტუტის აკადემიკოსი ხელმძღვანელის, მასთან ერთად 5-6 მეცნიერ-მუშაკის საქმე გადაგვეცა სასამართლოსთვის, რომელიც მათ უეჭველად პატიმრობას მიუსჯიდა.

შეგვეძლო, მაგრამ არ გავაკეთეთ. დღეს კი, სააკაშვილის ზეობის პერიოდიდან მოყოლებული, დარწმუნებული არიან, რომ რაც უფრო მეტ თანამემამულეს დააპატიმრებენ, უკეთესი იქნება.

ეს არაპროფესიონალიზმის უპირველესი ნიშანია.

არმაზ სანეგლიძე

P. S. მართალს ამბობს ბატონი ანზორი: მამა გიორგი მამალაძის დაკავების ისტორია, მედიაში გამოქვეყნებული მასალის მიხედვით (ეჭვმიტანილმა შეიძინა საწამლავი, რომელიც მას აღმოუჩინეს და ეს, არცთუ რიგითი ღვთისმსახური, აპირებდა ეკლესიის მაღალი იერარქის მოკვლას) იმდენად პრიმიტიულია, როგორც ნარკომანის ჯიბეში ჩხრეკისას აღმოჩენილი „თეთრი სიკვდილის“ „ჩეკი“.

პრიმიტივიზმი პროფესიონალიზმთან შეუთავსებელია.

მაგრამ თურმე ყოველთვის ასე არ არის. არაერთი მაგალითის დასახელება შეიძლება, როცა სიმარტივისა და პრიმიტივიზმის უკან უმაღლესი პროფესიონალების მიერ დაგებული ხაფანგი იმალება, რომელშიც იოლად ჩაითრევენ ობივატელს და მის „ფიქრთა დინებას“ სასურველი მიმართულებით წარმართავენ.

დააკვირდით, რა კარგად არის გათვლილი ყველაფერი და მორგებულია ნახევრად განათლებული ობივატელის ფსიქიკას: შემსრულებელი — მღვდელი, მიზანი — მაღალი რანგის სასულიერო პირის ლიკვიდაცია; ეჭვმიტანილი თავის სამოღვაწეო სივრცეში ტრიალებს, სხვაგან ხელი არ მიუწვდება და არც უნდა იყოს დაინტერესებული. ობივატელი, საკუთარი მაქსიმალიზმიდან გამომდინარე, ასკვნის, რომ ბოროტი ჩანაფიქრის „ადრესატი“ ეკლესიის უმაღლესი იერარქი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უნდა იყოს.

ამაზე პირდაპირ არავინ საუბრობს, მაგრამ ობივატელის მსოფლგაგება ჩვენს საზოგადოებრივ აზრში დომინირებს.

რატომ?

ამაზე სხვა დროს!

ახლა კი ამ დასკვნაში ადამიანების მასას განამტკიცებს და არწმუნებს მედიის ისეთი საშუალებების არნახული გააქტიურება, რომლებიც უწმინდესისა და უნეტარესის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, მოწიწებული დამოკიდებულებით არ გამოირჩეოდა. არასოდეს!

ამასთან ერთად, მთავარ „დამრტყმელ ძალად“ ეკრანზე ჩნდებიან ისეთი პირები, უწინარესად, იმავე ეკლესიის წიაღში მოღვაწენი, რომლებიც ნაცმოძრაობის ლიდერებისა და მათი ოჯახის წევრების მოძღვრები არიან, ან მონასტრის კედლებს მიღმა დარჩენილი მონაზვნები, რომელთა ეკლესიური მოღვაწეობა დიდ ნდობას არ იმსახურებს.

ნაცმოძრაობა თავის უპირველეს და ყველაზე უფრო საშიშ მტრად კათოლიკოს-პატრიარქს მიიჩნევდა და უგვანო ხერხებით ცდილობდა მის დაკნინებას, სხვაზე არაფერი რომ არ ვთქვათ.

„ციანიდის საქმე“ იმიტომ ხომ არ შემოაგდეს, რომ დაფარონ უფრო დიდი მავნებლობა, ის დიდი ცოდვა და ბოროტმოქმედება, რომელიც მათ კისერზეა?

ეგებ, „მატროსოვის“ საპყრობილეში მოთავსებულმა მამა გიორგი მამალაძემ ისეთი რამ იცის, რომლითაც გამჟღავნდება ჭეშმარიტება? ამიტომ ხომ არ დგებიან ყურებზე ნაცები და ცდილობენ მის გათავისუფლებას?

მაგრამ თუ ასეა, მაშინ ვინ იძლევა გარანტიას, რომ გათავისუფლებული მღვდელმსახური ლიკვიდირებული არ იქნება?

ა. ს.

მეგობრობა მარილაც დიდი განძია!

24 თებერვალს საქართველოში ბელარუსის რესპუბლიკის საელჩომ ჟურნალისტებთან შეხვედრას უმასპინძლა, რომელზეც ელჩმა, მისმა აღმატებულებამ მიხეილ მიატლიკოვმა 2016 წელს საქართველო-ბელარუსის ურთიერთობებში წინ გადადგმულ ნაბიჯებზე, განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

შეხვედრა საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. ნაჩვენები იქნა მცირე კლიპი, რომელშიც ბელარუსის რესპუბლიკის მიღწევები და ტურისტებისთვის საინტერესო ღირსშესანიშნაობები იყო გადმოცემული.

ბელარუსსა და საქართველოს ერთმანეთთან საკმაოდ დიდი ხნის ურთიერთობა აქვთ. ჩვენ არა მხოლოდ ეკონომიკური თუ ტურისტული კავშირები გვაახლოებს, ჩვენი ქვეყნების მეგობრობის ერთ-ერთი უმთავრეს ფაქტორს დიდ სამამულო ომში დაღუპული ქართველი გმირების საფლავები წარმოადგენს, რომლებსაც ჩვენი ბელარუსი ძმები დიდი რუდუნებით უვლიან და პატივს მიაგებენ. განსაკუთრებით ძვირფასია ყველასთვის საყვარელი პოეტი მირზა გელოვანი, რომელმაც „ცეცხლსა და ურაგანთან“ ბრძოლით კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი ერების მეგობრობა და სიყვარული.

ძალიან საინტერესო იყო საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკას შორის ურთიერთობის მზარდი დინამიკის შესახებ ბატონი ელჩის მიერ გაკეთებული მოკლე მიმოხილვა, რომელსაც გთავაზობთ:

საქართველოსა და ბელარუსს შორის დიპლომატიური ურთიერთობა 1994 წელს დამყარდა. 2007 წელს მინსკში საქართველოს საელჩო გაიხსნა, ხოლო 2016 წელს თბილისში – ბელარუსის საელჩო.

პირველი ოფიციალური ვიზიტით ბელარუსის პრეზიდენტი საქართველოს 2015 წლის 22 აპრილს ეწვია, რის შემდეგაც ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაატიურდა, როგორც პოლიტიკური, ასევე სავაჭრო ეკონომიკური მიმართულებით.

2016 წლის მარტში ბელარუსში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი განხორციელდა, რის შემდეგაც მთელი წელი საკმაოდ საინტერესო და დატვირთული იყო. ჩატარდა ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობო კომისიის სხდომა, ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნული გამოფენა საქართველოში და საქართველო-ბელარუსის საქმიანი საბჭოს პირველი შეხვედრა, „მინსკ-ბათუმის“ ბიზნეს-ფორუმი აჭარაში და ბელარუსის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი. ასევე მინსკსა და თბილისში გაიმართა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების საუწყებო სამუშაო ჯგუფის ორი შეხვედრა.

საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკას შორის სამართლებრივი ურთიერთობების ბაზა 30-ზე მეტ დოკუმენტს შეადგენს.

ხელმოწერილია და აქტიურად მოქმედებს ხელშეკრულება-მემორანდუმები თბილისისა და მინსკის, მინსკისა და ბათუმის, პოლოცკისა და წყალტუბოს, გომელისა და ქუთაისის, მოგილოვის ოლქისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დაძმობილების შესახებ.

კონსტრუქციულად ვითარდება საპარლამენტო ურთიერთობები. 2016 წლის თებერვალში გაიმართა საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი და ჩამოყალიბდა მეგობრობისა და თანამშრომლობის ჯგუფი.

პოლიტიკური თანამშრომლობის პოზიტიურმა განვითარებამ თავისი დადებითი გავლენა იქონია სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებაზე.

2016 წელს სავაჭრო ბრუნვა 63%-ით გაიზარდა და 73,2 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც ბოლო ხუთი წლის მაჩვენებლებში რეკორდული ციფრია.

2016 წელს შესამჩნევად გაიზარდა სამთავრობო სტრუქტურების ურთიერთობა. სხვადასხვა სამინისტროებისა თუ სახელმწიფო დაწესებულებების საქმიანი შეხვედრებმა და მოლაპარაკებებმა დადებითი შედეგები მოგვცა სამეურნეო და კერძო სტრუქტურების ნაყოფიერ ურთიერთობებში.

საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია ბელორუსის რესპუბლიკის ეროვნულმა გამოფენამ, რომელიც თბილისში 2016 წლის 1-დან 4 სექტემბრამდე მიმდინარეობდა. მის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და ბელარუსის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე მიხეილ რუსი. გამოფენაზე დელეგაციამ, რომელიც 400 წევრისგან შედგებოდა, 140 ბელარუსული საწარმოს პროდუქცია წარმოადგინა. გამოფენის სტუმრები გაეცნენ ბელარუსის მანქანათმშენებლობის, ნავთობქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობის ფართო სპექტრს.

გამოფენის ფარგლებში გაიმართა საქართველო-ბელარუსის საქმიანი საბჭოს შეხვედრა, შედგა ბიზნესწრეებს შორის მოლაპარაკებები, ხელი მოეწერა სხვადასხვა ურთიერთმომგებიან კონტრაქტს.

ბელარუსი და საქართველო აქტიურად თანამშრომლობენ სოფლის მეურნეობის მიმართულებით. 2016 წელს ბელარუსული სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პროდუქტების მოწოდება, 2015 წელთან შედარებით, 34%-ით გაიზარდა და 4.7 მილიონი დოლარი შეადგინა.

კერძო ბიზნესმენებმა თბილისში უკვე გახსნეს ბელარუსული პროდუქტების ორი მაღაზია და 2017 წელს დაგეგმილია მათი ქსელის გაფართოება.

ბელარუსის რესპუბლიკაში ძალიან პოპულარულია და შესაბამისად ფართოდაა წარმოდგენილი ქართული ღვინო, მინერალური წყლები, სხვადასხვა სახის ხილი და ბოსტნეული.

ბელარუსის რესპუბლიკას სოფლის მეურნეობის რეფორმირებისა და განვითარების დიდი გამოცდილება აქვს. ამ მიმართულებით საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს ქართულ მხარესთან პრაქტიკული და მეთოდოლოგიური თანამშრომლობა, რაც საქართველოს აგრარული სექტორის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისკენ არის მიმართული.

ქართული და ბელარუსული საწარმოები რეგულარულად მონაწილეობენ სოფლის მეურნეობის მიმართულებით ჩატარებულ გამოფენებსა თუ ფორუმებში, რაც ახალი კონტაქტების დამყარებისა და ძველის ურთიერთობების განვითარების საუკეთესო საშუალებაა.

2016 წელს საქართველოს სამთავრობო დელეგაცია სამუშაო ვიზიტით ეწვია ბელარუსის რესპუბლიკას. დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო „ექსპოსურსათის“ გამოფენაში, სადაც გაიმართა მოლაპარაკებები ისეთ მსხვილ ბელარუსულ საწარმოებთან, როგორებიცაა „მაზი“, „ამკოდორი“, „ბულბაშის ქარხანა“, „მოგილევლიფი“, „ალუტექხი“.

თბილისის ვიცე-მერი ირაკლი ლექვინაძე სტუმრობდა ბელარუსის დედაქალაქ მინსკს დაძმობილებული ქალაქების, თბილისი-მინსკის უერთიერთობების შემდგომი განვითარების ფარგლებში.

ბელარუსული საწარმოს „გომსელმაშის“ მიერ სპეციალურად საქართველოსთვის შეიქმნა კარტოფილის ამღები კომბაინი, რომელიც ექსპლოატაციაში 2017 წლის აგვისტოში დაინერგება.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს სამეცნიერო და განათლების მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავება.

2017 წელს ქალაქ მინსკში სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობების გაღრმავებისთვის დაგეგმილია ქართულ-ბელარუსული კომისიის პირველი სხდომა.

ქართული მხარის მიერ სხვადასხვა პროექტების დამუშავების, ინოვაციური მეწარმეობის განვითარების, კომპანიების ეფექტურობის გაზრდისა და IO სპეციალისტების მომზადებისთვის ბელარუსული ტექნოპარკების ინფრასტრუქტურების გამოყენებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული პოტენციალია განსაზღვრული.

ბელარუსის რესპუბლიკა ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან ჰუმანიტარულ თანამშრომლობას და მოქალაქეებს შორის ურთიერთგაგებასა და მეგობრული ურთიერთობების გაძლიერებას.

ჩვენი ქვეყნების ისტორიისა და ტრადიციების უკეთ გაცნობის მიზნით დაგეგმილია „კულტურის დღეების“ ჩატარება, რომელიც უდავოდ დააახლოებს ქართველ და ბელარუს ხალხებს.

ბელარუსელების თბილი და მეგობრული დამოკიდებულების მაგალითი იყო 2016 წელს ქალაქ მინსკში ჩატარებული „თბილისობის“ დღესასწაული, რომელსაც 20 000-ზე მეტი სტუმარი ჰყავდა.

გაიზარდა ტურისტების რაოდენობა. 2016 წელს მათმა რიცხვმა 28%-ით მოიმატა და ჯამში 37 000 ვიზიტორი შეადგინა.

ამ ზრდას მინსკსა და თბილისს, მინსკსა და ბათუმს შორის რეგულარულმა ავიამიმოსვლამ შეუწყო ხელი.

საქართველო-ბელარუსს შორის ურთიერთობების განმტკიცებას დიდად წაადგა ბელარუსის საელჩოს ამოქმედება. 2016 წლის 20 დეკემბერს გაიმართა საელჩოს შენობის საზეიმო გახსნა, რომელსაც ბელარუსისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრები ვლადიმერ მაკეი და მიხეილ ჯანელიძე ესწრებოდნენ.

ბელარუსის საელჩოს გახსნა კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტორია ქართველ და ბელარუს ხალხებს შორის მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცების, პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების და ჰუმანიტარული კავშირების კიდევ უფრო გაფართოებისა.

იმ გარემომ, თბილმა და საქმიანმა დამოკიდებულებამ, რაც ქართველ ჟურნალისტებს ბელარუსის საელჩოში დაგვხვდა, კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩვენი და ბელარუსი ხალხების ურთიერთობების განვითარების დიდი პოტენციალი. დაგვიდასტურა ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელთა მისწრაფება კიდევ უფრო გააღრმავოს და განამტკიცოს ის ურთიერთობები, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ყალიბდებოდა.

გია გაბრიჭიძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

განათლების მინისტრის ახალი ინიციატივა

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ მინისტრის ალექსანდრე ჯეჯელავას განცხადებით ოჯახები შვილებს არაჯანსაღი ცხოვრების წესისა და არაჯანსაღად კვების საშუალებას აძლევენ. ამიტომ მინისტრის თქმით, ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯების გადადგმაა საჭირო.

„სკოლებში სისუფთავე რეგულარულად მოწმდება. მართალია, მშობლებს აქვთ პრეტენზია, თუმცა თვითონ ოჯახებიც აძლევენ შვილებს არაჯანსაღი საკვების მიღების საშუალებას. ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს მთელ საზოგადოებას ერთად ანუ, სიტყვაზე, სკოლის ბუფეტში რომ ვერ ჭამოს ბავშვმა ჩიფსი და სახლში ჭამოს, ამისგან უფრო ჯანმრთელი არ გახდება. ამიტომ, სკოლის ბუფეტებიც არის გასაჯანსაღებელი და მთლიანად ჯანსაღი ცხოვრების და ჯანსაღი კვების წესის მიმართულებით ძალიან სერიოზული ნაბიჯები არის გადასადგმელი“, – განაცხადა ჯეჯელავამ.

მთები და ზღვა – ჩავლენ თუ არა საქართველოში უცხოელი ტურისტები?

„ძართული ეროვნული ვალუტის გაუფასურებისა და ქვეყანაში შექმნილი რთული ეკონომიკური სიტუაციის ფონზე ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ყველაზე წარმატებულ და დინამიკურად განვითარებულ სფეროდ რჩება“, — აღნიშნავს ბრიტანული „ბი-ბი-სი“-ს რუსული სამსახურის კორესპონდენტი სამაუწყებლო კომპანიის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ საკმაოდ ვრცელ სტატიაში.

ჟურნალისტი ესაუბრება სხვადასხვა ტურისტული ფირმების წარმომადგენლებს (მაგალითად, City Sightseeing-ის მფლობელს, კიეველ ევგენია სტეპანოვას), საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელს გიორგი ჩოგოვაძეს, ასევე ქართველ ექსპერტებს ტურიზმის სფეროში და თვით უცხოელ ტურისტებს, რომლებიც თავიანთ თვალსაზრისს გამოხატავენ საქართველოში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის თაობაზე.

„საქართველოში რომ ტურისტული სექტორი სწრაფად იზრდება, ამას მოწმობს არამარტო ტურისტული კომპანიების ოფისებისა და სუვენირების მაღაზიების სიმრავლე თბილისის ძველ უბნებში, არამედ ოფიციალური მონაცემებიც: გასულ წელს საქართველომ პირველად მიიღო ექვს მილიონზე მეტი უცხოელი სტუმარი, მათგან სამი მილიონი - ტურისტის სახით, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის პერიოდში. ტურისტების რაოდენობის ზრდა ქვეყნის შემოსავლების მატებას განაპირობებს; 2016 წელს საქართველომ ტურიზმით ორი მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო. როგორც გიორგი ჩოგოვაძე ამბობს, დღეს ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება, რასაც ხელს უწყობს უვიზო რეჟიმი მსოფლიოს 94 სახელმწიფოსთან. ყველაზე ხშირად საქართველოში ჩამოდიან აზერბაიჯანელი, სომეხი, თურქი, რუსი და უკრაინელი ტურისტები, თუმცა გასული წლის მონაცემებით, თურქების რაოდენობამ შესამჩნევად — 10%-ით მოიკლო. ამასთან, გაიზარდა ირანიდან, საუდის არაბეთიდან და ინდოეთიდან.

მთავარი ნაკლოვანება, რაც საქართველოს ტურიზმის სფეროში შეიმჩნევა, ტურფირმების წარმომადგენელთა აზრით, ესაა მაღალი ფასები, საკმაოდ დაბალი დონის მომსახურება და მსხვილი სასტუმროების ნაკლებობა“.

„ჩვენთან ძირითადად მცირე სასტუმროები შენდება, ეს სერიოზული პრობლემაა. ტურისტული ბიზნესი მხოლოდ დიდი სასტუმროებით ვითარდება, ასეთები კი საქართველოში თითზე ჩამოსათვლელია“, — ამბობს „ბი-ბი-სი“-ს კორესპონდენტთან საუბარში ტურსააგენტო Visit Georgia-ს მფლობელი ალექსანდრე მამულაშვილი, რომელსაც ამ სფეროში მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება აქვს. იგი 2017 წელს აზიის ქვეყნებიდან (ჩინეთი, ინდოეთი, მალაიზია, სინგაპური, ფილიპინები) ტურისტების მოზიდვას გეგმავს, თუმცა ევროპის მიმართულებითაც მუშაობას გააგრძელებს.

გიორგი ჩოგოვაძის თქმით, გასულ წელს საქართველოს სასტუმროებში ადგილები სამი ათასით გაიზარდა, უახლოეს წლებში კი 130 სასტუმრო აშენდება, მათ შორის საერთაშორისო დონისაც. ამჟამად მოქმედ სასტუმროებს კი ერთდროულად მხოლოდ 57 ათასი სტუმრის მიღება შეუძლიათ. **„ტურიზმის განვითარების სტრატეგიის მიხედვით, 2025 წელს საქართველოს, ალბათ, 11 მილიონი უცხოელი ვიზიტორი ეწვევა. 2015-2016 წლების შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს სრულიად რეალური ციფრია“,** — ამბობს გიორგი ჩოგოვაძე.

ქართული ტურიზმის კიდევ ერთი ნაკლოვანება — ავიაფრენების სიმცირე. **„თბილისის აეროპორტი წელიწადში მხოლოდ ორ მილიონამდე მგზავრს იღებს (შევადაროთ პრაღას — წელიწადში 13 მილიონი!). უფრო ნაკლებია მგზავრთა რაოდენობა ქუთაისისა და ბათუმის აეროპორტებში“,** — ამბობს ექსპერტი ნიკო კვარაცხელია „ბი-ბი-სი“-ს ჟურნალისტთან საუბარში.

ზოგიერთი ბიზნესმენი ხელისუფლების უყურადღებობაზე ჩივის. მაგალითად, ნინო ნონიკაშვილი, თბილისის ცენტრში მდებარე მცირე კომპანია Lucky Hotel&Hostels-ის მფლობელი, ამბობს, რომ მთავრობა ბევრს ლაპარაკობს ტურიზმზე, მაგრამ ძალიან ცოტას აკეთებს ბიზნესის დაწყებისა და ხელშეწყობისათვის. თუმცა, მისი აზრით, ყველაზე დიდი მინუსი ისაა, რომ **„ჩვენთან მომსახურების სფეროს ხარისხის ამაღლებაზე არავინ ზრუნავს, ამას არც ცდილობენ. ეს მხოლოდ სასტუმროების ბიზნესს კი არ ეხება, არამედ საერთოდ, მომსახურებას... კლიენტს თუ გაუღიმებ, ესეც კარგია საქმის წინსვლისათვის“,** — ამბობს იგი.

„BBC“ (დიდი ბრიტანეთი)

ნატოს გაფართოების ალტერნატივა – „მუდმივი ნეიტრალიტეტის“ სტატუსი საქართველოსთვის

ნატოს ქვეყნებმა რუსეთთან ევროპული უსაფრთხოების ახალ შეთანხმებაზე უნდა მოილაპარაკონ, რომელშიც გათვალისწინებული იქნება „მუდმივი ნეიტრალიტეტის“ სტატუსი ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიცაა უკრაინა, ბელორუსი, მოლდოვა, საქართველო და კიდევ რამდენიმე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა. ასეთი თვალსაზრისია გამოხატული ამერიკულ გაზეთ The Wall Street Journal-ში გამოქვეყნებულ სტატიაში (ავტორი — მაიკლ ო'ჰენლონი, ვაშინგტონის ბრუკინგსის ინსტიტუტის უფროსი ექსპერტი).

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთისათვის ნატოს გაფართოება ფუნდამენტურ პრობლემად ითვლება, აღნიშნული ქვეყნების „მუდმივი ნეიტრალიტეტით“ შესაძლებელი იქნება დაპირისპირებისა და ომის დაწყების რისკების შემცირება, — ნათქვამია სტატიაში. ავტორი ხაზს უსვამს, რომ დასავლეთი ნეიტრალიტეტის პირობებშიც კი არასოდეს არ მიატოვებს თავის დემოკრატიულ მეგობრებს, განსაკუთრებით უკრაინას და საქართველოს. ყოველთვის შეიძლება გამოინახოს ეფექტური საშუალებები მათი დახმარების მიზნით.

„დასავლეთის ქვეყნებისთვის დადგა დრო, რომ ისინი მოლაპარაკების გზით შეეცადონ შეთანხმების შემუშავებას უსაფრთხოების სფეროში აღმოსავლეთ ევროპის ნეიტრალური ქვეყნებისათვის... ამ კონცეფციის საფუძველი, სავარაუდოდ, „მუდმივი ნეიტრალიტეტი“ იქნებოდა, ან ფორმალური წევრობა იმ ორგანიზაციებში, რომლებიც ურთიერთთავდაცვითი მიზნებისთვის შესაბამისი შეთანხმებით შეიქმნება. ქვეყნები, რომლებზეც ვსაუბრობთ, ქმნიან ერთგვარ რკალს ევროპის ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე — ესენია ფინეთი, შვედეთი, ბელარუსი, უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, კვიპროსი, სერბეთი და შესაძლოა, ბალკანეთის სხვა სახელმწიფოებიც. მოლაპარაკება ჯერ ნატოს ჩარჩოებში უნდა დაიწყოს, შემდეგ მას ევროპის ნეიტრალური ქვეყნები შეუერთდებიან, ბოლოს კი ამ პროცესში რუსეთიც ჩაერთვება“, — წერს ავტორი.

ამერიკელი ექსპერტის აზრით, უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა უნდა შეიცავდეს რუსეთისა და ნატოს ვალდებულებას უზრუნველყონ უკრაინის, საქართველოს, მოლდოვასა და რეგიონის სხვა ქვეყნების უშიშროება.

როგორც მაიკლ ო'ჰენლონი აღნიშნავს, **„რუსეთი ნატოს განიხილავს ისეთ ორგანიზაციად, რომელმაც მოსკოვი პოლიტიკურად და ფსიქოლოგიურად მოატყუა; განიხილავს ისეთ ყოფილ მტრად, რომელმაც რუსეთს შეურაცხყოფა მიაყენა და რომელიც მის საზღვრებს მიუახლოვდა“. ამის მიუხედავად, „დასავლეთმა რუსეთთან მოლაპარაკება მაინც უნდა სცადოს, რადგან მხოლოდ ასეთ მასშტაბურ და თამამ იდეას შეუძლია მისცეს აშშ-ის პრეზიდენტს რეალური შანსი იმისთვის, რომ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობები ორივე მხარისათვის ხელსაყრელი და სასიკეთო კურსით წარიმართოს“.**

„The Wall Street Journal“ (აშშ)

საგარეო სავაჭრო ბრუნვა იზრდება

2017 წლის იანვარში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 651 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 22 პროცენტით მეტია. როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახური იუწყება, აღნიშნულ მაჩვენებელში ექსპორტი 177 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (45 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი — 474 მლნ აშშ დოლარს (15 პროცენტით მეტი).

საგარეო სავაჭრო ბრუნვის კლებადი ტენდენცია, რომელიც გასული წლის მანძილზე შეიმჩნეოდა, მოულოდნელად იანვარში მზარდი მაჩვენებლებით შეიცვალა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2017 წლის იანვარში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 174 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 27 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 53 მლნ აშშ დოლარი იყო (39 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი — 121 მლნ აშშ დოლარი (22 პროცენტით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 27 პროცენტი შეადგინა, მათ შორის, ექსპორტში — 30 პროცენტი და იმპორტში —26 პროცენტი (2016 წ. იანვარში, შესაბამისად, 26, 31 და 24 პროცენტი). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა საავაჭრო დეფიციტის 23 პროცენტი (2016 წ. იანვარში 21 პროცენტი). ეკონომიკის ექსპერტების აზრით, ეს ციფრები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ევროკავშირის ბაზარი, საკმაოდ რთული ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, ყველაზე სტაბილური და პერსპექტიული ბაზარია.

რაც შეეხება ყოფილ საბჭოთა სივრცეს, დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2017 წლის იანვარში 220 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (2016 წლის იანვართან შედარებით, 32 პროცენტით მეტი). აქედან ექსპორტი 65 მლნ აშშ დოლარი (2.2-ჯერ მეტი), ხოლო იმპორტი 155 მლნ აშშ დოლარი იყო (13 პროცენტით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილი 34 პროცენტი იყო, მათ შორის, ექსპორტში — 37 პროცენტი და იმპორტში — 33 პროცენტი (2016 წ. იანვარში, შესაბამისად, 31, 24 და 33 პროცენტი). 2017 წლის იანვარში დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 30 პროცენტი (2016 წ. იანვარში 37 პროცენტი).

საქსტატის ინფორმაციით, 2017 წლის იანვარში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან თურქეთი (86 მლნ აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (73 მლნ აშშ დოლარი) და რუსეთი (72 მლნ აშშ დოლარი).

2017 წლის იანვარში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავეს, 33 მლნ აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 19 პროცენტი შეადგინა. ფეროშენადნობების ექსპორტი 24 მლნ აშშ დოლარს და, შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 13 პროცენტს უდრიდა. მესამე ადგილზე აზოტოვანი სასუქების ჯგუფი იყო. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 11 მლნ აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 6 პროცენტი შეადგინა.

მართალია, ექპორტის საერთო მოცულობაში გაცილებით მოკრძალებული წილი უჭირავს, მაგრამ ზრდის ტემპით მაინც გამოირჩევა ღვინის ექსპორტი, რომელიც 104 პროცენტით გაიზარდა, სპირტიანი სასმელებისა კი — 185 პროცენტით.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2017 წლის იანვარში ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები იყო, რომლის იმპორტმა 53 მლნ აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 11 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილზე იყო მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი, 27 მლნ აშშ დოლარით (იმპორტის 6 პროცენტი). მესამე ადგილზე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სასაქონლო ჯგუფი დაფიქსირდა, 23 მლნ აშშ დოლარით (იმპორტის 5 პროცენტი).

ეკონომიკის ექსპერტების აზრით, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის გაუმჯობესება საგარეო ფაქტორებს უკავშირდება. „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ ეკონომისტი ბესიკ ნამჩავაძე მიიჩნევს, რომ ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკის გაუმჯობესება სავალუტო კურსის ცვლილებებმა გამოიწვია: **„ჩვენი ექსპორტი რეალურ გამოსახულებაში რაოდენობრივად 2016 წელსაც არ შემცირებულა, უბრალოდ აშშ დოლარებში გამოსახული შემცირდა. მაგალითად, ადრე თუ ვყიდდით პროდუქციას 30 რუბლად ეს იყო 1 დოლარი და ახლა თუ გავყიდით 30 რუბლად ნახევარი დოლარი გამოდის. ახლა, ალბათ, გავლენა იქონია ლარის კურსის დაცემამ და სავაჭრო პარტნიორების კურსის განმტკიცებამ.“**

ბესიკ ნამჩავაძის მიერ აღწერილ ვითარებას ისიც ემატება, რომ თებერვლის მეორე ნახევარში ეროვნულმა ვალუტამ გამყარება დაიწყო, რაც დამატებით სირთულეებს ქმნის ექსპორტის შემდგომი ზრდისთვის. ეროვნული ვალუტის კურსისა და ექსპორტის ზრდის ურთიერთკავშირს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის წარმომადგენელი **მერაბ ჯანიაშვილი** განმარტავს: **„როდესაც ვსაუბრობთ ლარის კურსის გამყარებაზე, ლარის კურსის გამყარება თუ იმპორტს აიაფებს, ექსპორტს აძვირებს. აქედან გამომდინარე ქართველი ექსპორტიორი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩადგება მის უცხოელ კონკურენტთან.“**

თუმცა ზრდის ტემპის შენელება იმპორტსაც ემუქრება, რადგან აქციზის გაზრდილმა გადასახადებმა მოთხოვნა და მოხმარება საგრძნობლად შეამცირა. შესაბამისად, ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ ერთი თვის სტატისტიკა მთელი წლის სურათს ვერ იძლევა და ის ვალუტის კურსის ცვლილების თუ მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გამო შეიძლება, წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალოს.

კახა მჭედლიძე

◎ მამულიშვილი

გამორჩეული ლიდერი

მკითხველს უთუოდ ახსოვს ჩვენს გაზეთში ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებული წერილი ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის **ნიკოლოზ ნეფედოვის** 85-წლიან ცხოვრების გზაზე. ამ დღეებში ბატონმა ნიკოლოზმა მრავალი მოსალოცი წერილი მიიღო, მიულოცეს მეგობრებმა, ყოფილმა თანამოსაგრეებმა, ნაცნობ-მეგობრებმა. მათ შორის არის საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, თბილისის საპატიო მოქალაქის **თეიმურაზ ბაბუნაშვილის** ხელმოწერილი მისალოცი წერილი. მასში კერძოდ ნათქვამია:

„საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია გულითადად გილოცავთ თქვენ, დიდებულ პიროვნებას, ღირსეულ მოქალაქეს, აღიარებულ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, ქვეყნისა და სამეგობროსთვის თავდადებულ მოყვასს დაბადებიდან 85 წლის საიუბილეო თარიღს.

თქვენ, ბატონო ნიკოლოზ, ახალგაზრდობის წლებიდან მოყოლებული აქტიურად ჩაებით ქვეყნის სამსახურში, სრულიად ახალგაზრდამ მოიპოვეთ დიდი ავტორიტეტი და გახდით საქართველოს ახალგაზრდობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი, რასაც შემდგომ მოყვა სახელმწიფო სტრუქტურებში იერარქიული აღმასვლა, რამაც კიდევ უფრო მძლავრად წარმოაჩინა თქვენი შესაძლებლობები, როგორც სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხელმძღვანელისა. ამიტომაც იყო, რომ თქვენ საქართველოს ხელისუფლება გენდობოდათ და გაძლევდათ თქვენი პოტენციალის სრულად რეალიზების საშუალებას. ეს იყო თქვენი როგორც პარტიულ სამუშაოზე, ასევე, ერთ-ერთი ურთულესი დარგის მინისტრობის პერიოდში. თქვენ ბრძანდებით გამორჩეული ლიდერი, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში უდიდესი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობთ მეგობრებში, კოლეგებში და საზოგადოების ყველა ფენაში, ეს არის ნიკოლოზ ნეფედოვის ფენომენი.

ბატონო ნიკოლოზ თქვენი არჩევა საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში კიდევ ერთი ნათელი დასტური იყო თქვენი პროფესიონალიზმის აღიარებისა, ჩვენ მოხარული ვართ, რომ თანამშრომლობა გვიწევს ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური დონის ასამაღლებლად.

თქვენი ასეთი თავდადებული საქმიანობა ღირსეულად დააფასა სახელმწიფომ და უამრავ სხვა სამთავრობო ჯილდოსთან ერთად თქვენს დიდებულ ბიოგრაფიას ამშვენებს ღირსების ორდენი.

ბატონო ნიკოლოზ, ნება მიბოძეთ, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სახელით კიდევ ერთხელ მოგილოცოთ დაბადებიდან 85 წელი და გისურვოთ ჯანმრთელობა, ბედნიერება და ყოველივე სიკეთე თქვენს დიდ და ლამაზ ოჯახთან ერთად.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ სრულიად საქართველოსთან ერთად.“

უღრმესი პატივისცემითა და კეთილი სურვილებით საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი
თეიმურაზ ბაბუნაშვილი

ქართული ღვინო ბოსტონსა და ნიუ-იორკში

ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციები აშშ-ის ქალაქებში ბოსტონსა და ნიუ-იორკში გაიმართა. ღონისძიებებს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი დაესწრო.

ბოსტონში გამართულ ღვინისა და სპირტიანი სასმელების მასშტაბურ საერთაშორისო გამოფენაში „Boston Wine Expo“, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 18 კომპანია მონაწილეობდა. „Boston Wine Expo“ წელს 26-ედ ჩატარდა და მას ტრადიციულად ათასობით სტუმარი - ღვინის იმპორტიორი, დისტრიბუტორი, სომელიე და მედიის წარმომადგენელი სტუმრობდა. გამოფენაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ათასობით დასახელების ღვინო იყო წარმოდგენილი. ქართულმა სტენდმა გამოფენის სტუმრების დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

ამასთან ერთად, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და მარკეტინგული კომპანია „Marqenergie“-ს ერთობლივი ორგანიზებით, ნიუ-იორკში „ქართული ღვინის დღე“ მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო 20-მდე ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის 40 დასახელების როგორც ქვევრის, ისე კლასიკური მეთოდით დაყენებული ღვინოები. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ორი დეგუსტაცია-სემინარი – პირველი ღვინის იმპორტიორებისა და მეორე – ღვინის დამფასებლებისა და მოყვარულებისათვის. ინტერესი აღნიშნული ღონისძიების მიმართაც დიდი იყო.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ ქართული ღვინოს აშშ-ის ბაზარზე დამკვიდრების კარგი პოტენციალი აქვს.

◎ „სხვა საქართველო სად არი“...

დედამოკა

ბავშვობისას საბანაოდ რომ მივდიოდით, ბებიაც მოგვყვებოდა – პატარებს არაფერი დაუშავდეთო. მდინარეს რომ მივუახლოვდებოდით, ნახე, ჩვენი ტეხურა როგორ მიხარხაცებსო (მიკისკისებსო), მეტყოდა მეგრულად. მეც არერთხელ მიმიყურადებია, განსაკუთრებით – ღამღამობით. როცა სოფელში ჩქამიც კი მიწყდებოდა, აივნის კუთხეში მიდგმულ გრძელ ტახტზე წამოვწვებოდი და სულგანაბული ვუსმენდი მდინარის კარკაცს – მოწიფული გოგონები ჭორაობენ და სიცილით იგუდებიანო, გეგონებოდათ. და ეს ტკრციალი არასდროს ჰგავდა ერთიმეორეს.

შარშან ზაფხულს ციხეგოჯად მონათლული სამეგრელოს ძველი დედაქალაქის (ბერძნები არქეოპოლისს რომ ეძახდნენ) სამზღუდე და ქუჯის ციხე მოვინახულე, მიკოტახილით გზა გავიკვლიე ხეობისაკენ. მდინარის იმ ნაპირას ჩავიმუხლე, სად „წყალნი, მთით დაქანებულნი“, გასავაკებლად მიიჩქარიან.

საოცარი სანახავია ქვიდან ქვებზე მოხტუნავე ტეხურა: ზოგან ტალღებს დააჯახებს ლოდებს, მხედარივით ზედ გადააფრინდება და ალმასებად დაშლილი ჩხრიალით ეშვება მორევში, ზარივით ხმა აქვს, – გეგონება, პირველი შემოსძახაო. სხვა ტალღები გვერდს უვლიან „ბებერ ლოდებს“, თვალს ავლებენ უკან მავალთ, ხმას უწყობენ ჩქერებს. ტეხურას გაბმული ბუბუნიც გხიბლავს, როს ლოდებს მდორედ გადაუვლის და ჭაღარა ქოჩორს გადაუვარცხნის. ასე სამ ხმაში, როგორც სამება, ჰანგად იღვრება ტეხურა მთებში და კალმახები ჰყავს მსმენელებად.

მერე ივაკებს, ციცაბო კლდეთა არტახებში ვნებას იოკებს და მიიზლაზნება. დედამოკასთან ნაბიჯს უჩქარებს, როგორმე მთებს რომ დაუძვრეს და ლაღად გაშალოს ფრთები...

დედამოკა – მწვანეში ჩაფლული საუფლო. აქ მდინარის ნაპირები ისე ახლოსაა ერთმანეთთან, ლამის გადახტომა მოგინდეს. მის შესახებ ლამაზი ლეგენდა შემოგვინახეს წინაპრებმა: უხსოვარ დროში, როცა საქართველო მტრის უღელქვეშ გმინავდა, მდინარის შორიახლო ქოხში რძალ-დედამთილს უცხოვრია. მათი ქმრები ბრძოლაში დაღუპულან. მისუსტებულ დედაბერს სიარული არ შესძლებია. არ დაუშლია და მოკათუ (ორსული) რძალი წასულა მდინარეზე წყლის მოსატანად. შინისკენ მიმავალი აბჯროსან მტერს შეფეთებია. კოკა ხელიდან გაუგდია და უმალ მდინარისკენ გაბრუნებულა. ქარაფის პირას უფლისთვის შველა უთხოვია. ის იყო, კაცს ხელი უნდა ეტაცა, რომ ნაპირები დაახლოებია ერთმანეთს და მოკათუც წამიერად გადავლებია მდინარეს. მდევარს თავი ვერ შეუკავებია და უფსკრულში გადაჩეხილი ტეხურას ტალღებს გაუტაცია. ხეობა ქალის კივილისა და ჩვილის ტირილის ხმას შეუძრავს...

ამ ადგილისთვის დედამოკა შეურქმევიათ.

ვდგავარ მონუსხული და ბუნების საოცრებით ვტკბები.

ჩამავალი მზის სხივები ხის კენწეროებს ეფერებიან. ბინდი მოიპარება ხეობაში.

დღე იღვენთება სანთელივით დედამოკასთან.

ვაჟა დანელია





შსს „დატკბა“

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 104 260 კგ შოკოლადსა და 125 კგ კარამელის კანფეტს ყიდულობს. უწყებამ ტენდერი ტკბილეულის შესყიდვაზე 22 თებერვალს გამოაცხადა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 1 058 989 ლარია.

სატენდერო დოკუმენტის მიხედვით, ტენდერი შოკოლადის და კარამელის შესაძენად, შსს-ს დაქვემდებარებული სამი უწყებისთვის გამოცხადდა:

შსს-ს ლოჯისტიკის დეპარტამენტი 76 260 კგ შოკოლადსა და 110 კგ კარამელს ყიდულობს. სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი – 5 500 კგ შოკოლადს და 15 კგ კარამელს, ხოლო სასაზღვრო პოლიცია – 22 500 კგ შოკოლადის შეძენას გეგმავს.

ტენდერში მონაწილეთა წინადადებების მიღება 10 მარტს იწყება და 15 მარტს სრულდება.

ოსკარი 2017-ის გამარჯვებულები

ლოს ანჯელესში „ოსკარის“ 2017 წლის გამარჯვებულები გამოავლინეს. წელს აკადემიის ფავორიტები „ლა ლა ლენდის“ შემქმნელები გახდნენ. მისი რეჟისორი დემიენ ჩაზელი ოსკარის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა რეჟისორია, რომელსაც ოსკარი გადაეცა. კაცი მსახიობებიდან წელს ქეისი აფლეკი, ხოლო ქალებიდან ემა სტოუნი გამოარჩიეს.წარდგენისას არასწორად ამოიკითხეს წლის საუკეთესო ფილმის კატეგორიაში გამარჯვებული ფილმი. თავდაპირველად ჯილდო „ლა ლა ლენდს“ გადაეცა, თუმცა შემდეგ აღმოჩნდა, რომ ფილმმა „მთვარის შუქზე“ გაიმარჯვა.

ნომინაციებში გამარჯვებულები შემდეგნაირად გადანაწილდა:

საუკეთესო მამაკაცი მსახიობი მეორეხარისხოვანი როლისათვის: მაჰერშალა ალი („მთვარის შუქზე“).

საუკეთესო მაკიაჟი და თმის ვარცხნილობა: „თვითმკვლელთა რაზმი“.

კოსტიუმების საუკეთესო დიზაინი: „ფანტასტიკური ცხოველები და სად ვიპოვოთ ისინი“.

საუკეთესო დოკუმენტური ნამუშევარი: „ოუ ჯეი: ამერიკული ისტორია“.

ხმის საუკეთესო მონტაჟი: „ჩამოსვლა“.

ხმის საუკეთესო მიქსინგი: „ჰაქსოს გმირი“.

საუკეთესო ქალი მსახიობი მეორეხარისხოვანი როლისთვის: ვაიოლა დევისი („წინაღობები“).

საუკეთესო უცხოენოვანი ფილმი: „გამყიდველი“ (ირანი).

საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ანიმაცია: “პაიპერი“.

საუკეთესო ანიმაციური ფილმი: „ზუტოპია“

საუკეთესო მხატვრობა: „ლა ლა ლენდი“.

საუკეთესო ვიზუალური ეფექტები: „ჯუნგლების წიგნი“.

საუკეთესო მონტაჟი: „ჰაკსოს გმირი“.

საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი: „თეთრი მუზარადი“.

საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი: „იმღერე“.

საუკეთესო ოპერატორული ნამუშევარი: ლინუს სანდერი („ლა ლა ლენდი“).

საუკეთესო მუსიკა ფილმისათვის: ჯასტინ ჰერვიცი („ლა ლა ლენდი“).

საუკეთესო სიმღერა ფილმიდან: City of Stars ფილმიდან „ლა ლა ლენდი“.

საუკეთესო ორიგინალური სცენარი: კენეზ ლონერგანი („მანჩესტერი ზღვის პირას“).

საუკეთესო ადაპტირებული სცენარი: ბერი ჯენკინსი და ტარელ ალვინ მაკრანეი („მთვარის შუქზე“).

საუკეთესო რეჟისორი: დემიენ შაზელი („ლა ლა ლენდი“).

საუკეთესო მამაკაცი მსახიობი მთავარ როლში: ქეისი აფლეკი („მანჩესტერი ზღვის პირას“).

საუკეთესო ქალი მსახიობი მთავარ როლში: ემა სტოუნი („ლა ლა ლენდი“).

წლის საუკეთესო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი: „მთვარის შუქზე“.

მზის დაბნელება ტელესკოპით გადაიღეს

მზის დაბნელების უნიკალური კადრები. ბუნებრივი ფენომენი ასტროლოგებმა ჩილეში კოიაიკის ობსერვატორიიდან ტელესკოპით გადაიღეს. ულამაზესი სანახაობისთვის თვალყურის დევნება სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის მცხოვრებლებს შეუიარაღებელი თვალითაც შეეძლოთ. მზის დაბნელება წელიწადში ხუთჯერ შეიძლება განმეორდეს, თუმცა სრული დაბნელება მაქსიმუმ ორჯერ ხდება. ამ დროს მთვარე დედამიწასა და მზეს შორის ექცევა, რის შედეგადაც მზე მთვარის ჩრდილით იფარება.

მეჰრიბან ალიევა სოციალური საკითხებით დაკავდება

მეჰრიბან ალიევა აცხადებს, რომ ვიცე-პრეზიდენტის რანგში მისთვის მთავარი პრიორიტეტი სოციალური პრობლემების მოგვარება იქნება. ვრცელი ინტერვიუ აზერბაიჯანის პირველმა ლედიმ “ვესტი დენელის“ მისცა. ილჰამ ალიევის მეუღლემ კომენტარი ვიცე-პრემიერის პოსტზე დანიშვნის შესახებაც გააკეთა. მეჰრიბან ალიევას თქმით, ეს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ინიციატივა იყო. რაც შეეხება პრეზიდენტის პოსტის დაკავების პერსპექტივას, პირველმა ლედიმ განაცხადა, რომ ამ საკითხზე ჯერ არ უფიქრია.

მექსიკოში ბულდოგების მარში მოეწყო

მექსიკაში ახალი რეკორდი დამყარდა. დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე 100-მდე ინგლისური ბულდოგი გამოიყვანეს. როგორც ღონისძიების ორგანიზატორი ერიკ ჰერნანდესი ირწმუნება, ერთად შეკრებილი 951 ბულდოგი დღემდე არავის უნახავს. ამიტომ, ბულდოგების თავყრილობა გინესის წიგნში მოხვედრის კანდიდატია.

მილანში დოლჩე და გაბანას ახალი კოლექციის ჩვენება გაიმართა

ორიგინალურ ჩვენებას ლაიტმოტივად ოჯახური თემა გასდევდა. პოდიუმზე დედები, მამები და შვილები ავიდნენ. მოდელებს შორის ცნობილი სელებრითები და მათი შვილები იყვნენ. მათ შორის იყო პამილა ანდერსონის ვაჟი და ენდი გარსიას სამი ქალიშვილიც. ახალ კოლექციაში ძირითადად შავი და ყავისფერები სჭარბობდა. ჩვეულ ბრენდულ ხაზებს დიზაინერებმა არც ამჯერად უღალატეს და კოსტიუმები მაქმანებით, ვარდებითა და ტრადიციული აქსესუარებით მორთეს. განსაკუთრებული მოწონება ლეოპარდის ფაქტურის პალტოებს ხვდა წილად.

მნიშვნელოვანი ახალი უსაფრთხოების ინფორმაცია

ფეთქებადსაშიშია

დამატებითი გაზის კონექტორებიანი ბრენდული სამზარეულოს ტექნიკა:

BOSCH SIEMENS

BSH Ev Aletleri Sanayi ve Ticaret A.Ş. აფართოებს გაზზე მომუშავე სამზარეულოს მოწყობილობებთან დაკავშირებულ უსაფრთხოების კამპანიას დამონტაჟებული გაზის კონექტორების პოტენციური დაზიანების გამო. ზოგიერთ შემთხვევაში, გაზის გაჟონვა შეიძლება იყოს უკონტროლო, და იშვიათ შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს აფეთქების რისკი.

აღნიშნული ეხება შემდეგ გაზზე მომუშავე სამზარეულოს ტექნიკას საქართველოში:

ბრენდი	პროდუქტის ტიპი	აირის ტიპი	გამოშვების თარიღი (თვე/წელი)
Bosch	ჩაშენებული ღუმელი	ბუნებრივი ან თხევადი	01/2009 -10/2011
Bosch	დამოუკიდებლად მდგომი გაზქურა	ბუნებრივი ან თხევადი	08/2006 -10/2011
Bosch	მაგიდის გაზქურა	თხევადი	01/2009 -10/2011
		ბუნებრივი	01/2004 -10/2011
Siemens	ჩაშენებული ღუმელი	ბუნებრივი ან თხევადი	01/2009 -10/2011
Siemens	დამოუკიდებლად მდგომი გაზქურა	ბუნებრივი ან თხევადი	01/2009 -10/2011
Siemens	მაგიდის გაზქურა	თხევადი	01/2009 -10/2011
		ბუნებრივი	01/2004 -10/2011

BSH Ev Aletleri Sanayi ve Ticaret A.Ş. მოუწოდებს ყველა ჩამოთვლილი სამზარეულო მოწყობილობის მყიდველს შეამოწმონ, ვრცელდება თუ არა აღნიშნული უსაფრთხოების კამპანია მათ მოწყობილობაზე. კერძოდ, ჩვენ მომხმარებლებს, რომლებმაც უკვე შეამოწმეს თავისი მოწყობილობის ნომერი, და რომელთა გაზის კონქტორებსაც წარსულში არ ჭირდებოდა შეცვლა, ასევე ვთხოვთ, კიდევ ერთხელ შეამოწმონ თავიანთი მოწყობილობები. BSH წუნდებული მოწყობილობის თითოეულ მფლობელს სთავაზობს გაზის კონექტორის უფასოდ შეცვლას ავტორიზებული ინჟინერის მიერ მფლობელის სახლში.

შეამოწმეთ, დაზიანებულია თუ არა თქვენი მოწყობილობა შემდეგი გზით:

1. გთხოვთ, ჩაწეროთ მოდელის ნომერი (E-№) და სერიული ნომერი (FD) თქვენი მოწყობილობის მოდელის ფირფიტაზე (იხ. სურათი მარჯვნივ).
2. ამის შემდგომ www.gascookingsafety.com -ზე შეამოწმეთ დაზიანებულია თუ არა თქვენი მოდელი. თუ დამატებით გესაჭიროებათ დახმარება, შეგიძლიათ დარეკოთ უფასო ნომერზეც.





მიაქციეთ ყურადღება: იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ ყველა შესაძლო საფრთხე, დაზიანებული მოწყობილობის მფლობელებმა დაუყოვნებლივ უნდა გამორთონ გაზის მიწოდება და არ გამოიყენონ ის, სანამ დამაკავშირებელი მოწყობილობა არ შეიცვლება.

ბოდიშს გიხდით შეფერხებისთვის. თუ შეგექმნათ პრობლემა თქვენი მოწყობილობის დაზიანების შემოწმებასთან დაკავშირებით, ან გაქვთ დამატებითი კითხვები დაგვიკავშირდით ვებ-გვერდის მეშვეობით ან უფასო ნომერზე დარეკვით.

www.gascookingsafety.com

BSH EV Aletleri Sanayi ve Tİcaret A.Ş.
სულთან მეჰმედ ფათიჰის რაიონი, ბალკანეთის ქ. 51,
უმრანიე სტამბული - თურქეთი

ავტორიზებული სერვის ცხელი ხაზი ელიტ სერვისი
Bosch: + 995 32 2 300 020 Siemens: +995 32 2 300 050

BSH საყოფაცხოვრებო ტექნიკის ჯგუფი არის Siemens AG-ის Siemens-ის ბრენდისა და Robert Bosch GmbH-ის Bosch-ის ბრენდის სავაჭრო მარკების ლიცენზიების მფლობელი.

წინ, საქართველო!

ორ-ორი „ოქრო“ და „ვერცხლი“

49 ძვეყნის 344 ძიუდოისტი გამოდიოდა დიუსელდორფის „დიდ პრიზზე“, რომელშიც ქართველმა ფალავნებმა 7-იდან 4 წონის ფინალში იჭიდავეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ვაჟა მარგველაშვილი (66) და ბექა ღვინიაშვილი (90), ხოლო ამირან პაპინაშვილი (60) და ლაშა შავდათუაშვილი (73) ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. მართალია, ტურნირზე ქალი მოჭიდავეები არ გვყავდა, მაგრამ ამ შედეგით ჩვენი ნაკრები საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორეზე გავიდა, მარტო ვაჟებში კი პირველი იყო.

ქართველთაგან პირველი ოქროს მედალი ვაჟა მარგველაშვილმა მოიპოვა. 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ფრანგული ტურნირის ბრინჯაოს პრიზიორმა სამ შეხვედრაში იპონებით გაიმარჯვა - ზედიზედ სძლია გერმანელ მანუელ შაიბელს, ბულგარელ ბოჟიდარ ტემელკოვსა და რუსთა ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიოს პრიზიორ კამალ ხან-მაგომედოვს. ნახევარფინალში ტალ ფლიკერს (ისრაელი) სამი ვაზარით, ხოლო ფინალში ახალგაზრდა იაპონელ ნოჰირიტო ისოდას ერთი ვაზარით აჯობა.

ჩვეული შემტევი სტილით იჭიდავა ბექა ღვინიაშვილმა. პირველივე წრეში მონღოლი ბატერდენე ბანდიკხუუ დაჯაბნა, მერე მის გზას გაუყენა გერმანელი მარკ ოდენტალი, მეოთხედფინალში ტაჯიკ კომრონშოკ უსტოპირიონს ორი ვაზარი აართვა, ნახევარფინალში კი დრამატული ბრძოლა მოუგო ახალგაზრდა გერმანელ ედუარდ ტრიპელს და ფინალში გავიდა, სადაც ინგუში ოლიმპიური ჩემპიონის - ხასან ხალმურზაევის ტყუპისცალ ხუსეინ ხალმურზაევს დაუპირისპირდა. არბიტრმა ორ წუთში ორჯერ გააფრთხილა ქართველი ფალავანი. შეხვედრის დამთავრებამდე ნახევარი წუთით ადრე ღვინიაშვილი ერთი გაფრთხილებით აგებდა ორთაბრძოლას. ჩვენებურის ჟინიანმა ჭიდაობამ შედეგი გამოიღო — ბექამ ელვისებური ილეთით რუსთა ფალავანი ბეჭებზე დასცა, მაგრამ არბიტრმა მხოლოდ ვაზარი გაიმეტა, თუმცა, „ოქროსთვის“ ესეც საკმარისი იყო, მაგრამ ღვინიაშვილმა იქვე შებოჭა მეტოქე და წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

მსგავს წარმატებამდე ცოტა დააკლდათ პაპინაშვილსა და შავდათუაშვილს, რომლებმაც ფინალური პაექრობები დათმეს. გერმანიაში პაპინაშვილმა ფრანგ სედრიკ რევოს სამი გაფრთხილება აკმარა, ესპანელ ფრანსისკო გარიგოსს ვაზარით აჯობა, ნახევარფინალში მსოფლიოს მონგოლი ფინალისტი ამარტუვშინ დაშდავაა დაამარცხა იპონით. ფინალიც დამაჯერებლად იჭიდავა, მაგრამ მეორე მონგოლ ბოლდბაატარ განბატთან მაინც წააგო ვაზარით. ევროპისა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა შავდათუაშვილმა დიუსელდორფში ბევრად უკეთ იჭიდავა, ვიდრე პარიზში, სადაც უმედლოდ დარჩა: ყაზახ ჟანსაი სმაგულოვსა და ბრაზილიელ მარსელო კონტინის 2-2 ვაზარით, შვედ კრისტოფერ მაკიასს კი იპონით სძლია, ნახევარფინალში ტოჰარ ბუტბულსაც (ისრაელი) წმინდად მოუგო, გადამწყეტ ორთაბრძოლაში კი რუს დენის იარცევთან ვერაფერს გახდა და მეორე ადგილზე გავიდა.

ბექას „ოქროს“ ილეთი

ლაშა დიდია

შემდეგი სიმაღლე - ოთხთა ფინალი

საქართველოს 20-წლამდე კალათბურთელთა ნაკრებმა ბრწყინვალედ ჩაატარა ევროპის ლიგის მე-3 ეტაპი და 5 მატჩიდან ყველა გამარჯვებით პირველი ადგილი დაიკავა. ნიკო ჩერქეზიშვილის გაწვრთნილებმა ესტონეთის დედაქალაქ ტალინში კვირას დასრულებული ეტაპის ბოლო მატჩი ძლიერ მეტოქესთან დაძაბულ ბრძოლაში მოიგეს.

ქართველთა მოწინააღმდეგე გახლდათ რუსეთის მძლავრი წარმომადგენელი მოსკოვის „ხიმკი“, რომელიც საქართველოს მსგავსად მიმდინარე ეტაპზე დაუმარცხებელი იყო, მთლიანობაში კი აქამდე გამართული პირველი და მეორე ეტაპის საერთო შედეგებით ცხრილში ქართველებზე მაღლა — მესამე ადგილზე იმყოფებოდა.

საქართველოს ნაკრების მიზანი 16-გუნდიანი ტურნირის საუკეთესო 4 გუნდში მოხვედრა და, შესაბამისად, ოთხთა ფინალში გასვლა გახლდათ. ესტონურ ეტაპზე ხუთივე გამარჯვებით საქართველომ ოთხთა ფინალის საგზური მოიპოვა და ევროპის ლიგის მოსაგებად აპრილში მოსკოვში მოუწევს ასპარეზობა. სულ საქართველოს ნაკრებმა ევროპის ლიგის 3 ეტაპზე 15 მატჩი გამართა, საიდანაც 11 მოიგო.

„ხიმკისთან“ გამართულ მატჩში ქართველებმა დიდი ბრძოლა გადაიტანეს. ჩვენმა ნაკრებმა მოსკოვურ გუნდს დაძაბულ ბრძოლაში 66:63 სძლია. საქართველომ პირველი პერიოდი 18:17 მოიგო, ხოლო მეორე მეოთხედში უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა და დიდ შესვენებაზე სოლიდური, 10-ქულიანი უპირატესობით გავიდა — 37:27. მოსკოველებმა მესამე ათწუთეული 21:13 მოიგეს, ჩამორჩენა შეამცირეს და ბოლო წუთებზე ქართველებს მოსაგებად მიეძალნენ, მაგრამ ჩერქეზიშვილის გუნდმა შეხვედრა ღირსეულად ჩაამთავრა. ბოლო წუთზე ანგარიში 2 ქულამდეც შემცირდა (60:62), მაგრამ დავით აფხაზავას და დავით ლომიძის ქულებმა დაცვაში გამოჩენილ სიმტკიცესთან ერთად საესურველი შედეგი გამოიღო.

საქართველოს ნაკრებში ყველამ გამორჩეულად იბრძოლა, საუკეთესო შედეგი კი ალექსანდრე ფევაძემ დააფიქსირა, რომელმაც 24 წუთში 18 ქულა მიითვალა. 12 ქულა და 8 მოხსნა გიორგი კორსანტიას ანგარიშზეა, ხოლო დავით ლომიძემ 9 ქულა მოაგროვა. სარგებლიანობის ინდექსით ფევაძის შემდეგ იყო დავით აფხაზავა, რომელმაც 11 შედეგიანი გადაცემა, 8 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა.

მე-3 ეტაპის საუკეთესო მოთამაშედ დავით აფხაზავა დასახელდა, რომელსაც მატჩის შემდეგ სპეციალური პრიზი გადაეცა. ეტაპის სიმბოლურ ხუთულში ორგანიზატორებმა ალექსანდრე ფევაძე შეიყვანეს, ეტაპის გამარჯვებულის თასი კი ჩვენი ნაკრების კაპიტანმა დავით ლომიძემ ჩაიბარა.

გთავაზობთ საქართველოს ნაკრების ესტონურ ეტაპზე მოპოვებულ ხუთივე გამარჯვების შედეგებს:

საქართველო — ასეკო (პოლონეთი) 91:32,

საქართველო — დსნ (ლატვია) 89:55,

საქართველო — ოლიმპი (ბელარუსი) 60:46,

საქართველო — ბუდაპეშტი (უნგრეთი) 66:34,

საქართველო — ხიმკი (რუსეთი) 66:63.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

წყვილებში იმარჯვეს

თბილისელმა ჩოგბურთელებმა — ოქსანა კალაშნიკოვამ და ეკატერინე გორგოძემ წარმატებით იასპარეზეს საერთაშორისო ტურნირებში. უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში (საპრიზო ფონდი 250.000 დოლარი) ტაივანელ სუ-ვეი ჰსიესთან შეწყვილებულმა კალაშნიკოვამ სტარტზე ანა ბლინკოვა (რუსეთი) და პანა უდვარდი (უნგრეთი) ჩამოიშორა გზიდან — 6:1, 7:6, შემდეგ ასეთივე ანგარიშით ალექსანდრა კადანტუსა (რუმინეთი) და ნიკოლა გეუერს (გერმანია) სძლია, ნახევარფინალში სერბები — ალექსანდრა კრუნიჩი (რეიტინგით 52-ე) და ნინა სტოიანოვიჩი (114-ე) დაამარცხა — 6:2, 6:2. ქართულ-ტაივანურმა დუეტმა გადამწყვეტ პაექრობაში არინა როდიონოვას (ავსტრალია, 107-ე) და გალინა ვოსკობოევას (ყაზახეთი, 113-ე) ტანდემს მოუგო - 6:3, 4:6, 10:4. კალაშნიკოვამ ამ გამარჯვებით 280 სარეიტინგო ქულა და 12.300 დოლარი დაიმსახურა.

წყვილებში მიაღწია წარმატებას ეკატერინე გორგოძემაც: იგი ანტალიის 15.000-იან საერთაშორისო ტურნირში გამოდიოდა. მასპინძელი აილა აქსუ და ქართველი ჩოგბურთელი პირველ ნომრად იყვნენ განთესილი. მათ ზედიზედ დაჯაბნეს ასპარეზობაზე „ველური ბარათით“ მიწვეული თურქების — მუაზეზ დემირჩიდენიზ პეიკოჩის — 6:0, 6:1, ალიონა ბონდარენკო (უკრაინა)-ქსენია პალკინას (ყირგიზეთი) — 6:4, 6:3, ანა იაკოვლევა (რუსეთი)- — ვერონიკა მიროშნიჩენკოს (რუსეთი) — 6:3, 4:6, 10:8, ბასაკ ერაიდინი (თურქეთი) —- კარინ კენელის (შვეიცარია) დუეტები - 6:3, 6:1 და პირველი ადგილი დაიკავეს.

ლექსო ცინცაძე

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

მარტვილის მურთაზ ხურცილავას სახელობის სტადიონზე ოფიციალურად გაიხსნა ახალი ქართული საფეხბურთო სეზონი — ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა „სამტრედიამ“ და დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის მფლობელმა ქუთაისის „ტორპედომ“ ჩვენი პირველი საკლუბო ჯილდო — სუპერთასი გაითამაშეს.

„სამტრედია“ — „ტორპედო“ 2:1

გოლები: გურული (0:1, მე-17 წთ), რაჟამაშვილი (1:1, 27-ე: წთ), ბერიაშვილი (2:1, 58-ე წთ).

გამარჯვებულებს სუპერთასი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა ლევან კობიაშვილმა გადასცა, ხოლო ფულადი პრიზი — 50 ათასი ლარი — სფფ გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა.

დავძენთ, რომ სამტრედიელებმა პირველად მოიპოვეს ეს პრესტიჟული ჯილდო და ასევე პირველად შეასრულეს „დუბლი“. ვულოცავთ!

იტალია. „იუვენტუსი“ — „ემპოლი“ 2:0, „ინტერი“ — „რომა“ 1:3, „ნაპოლი“ — „ატალანტა“ 0:2.

ესპანეთი. „ვილიარეალი“ — „რეალი“ 2:3, „ატლეტიკო“ — „ბარსელონა“ 1:2, „ბეტისი“ — „სევილია“ 1:2.

ინგლისი. „ჩელსი“ — „სუონსი“ 3:1, „ტოტენჰემი“ — „სტოკი“ 4:0.

ლიგის თასის ფინალი. „მანჩესტერი“ — „საუთჰემპტონი“ 3:2.

გერმანია. „ბაიერნი“ — „ჰამბურგი“ 8:0, „ლაიფციგი“ — „კიოლნი“ 3:1, „ფრაიბურგი“ — „დორტმუნდი“ 0:3.

საფრანგეთი. „გენგამი“ — „მონაკო“ 1:2, „მარსელი“ — „პარი სენ ჟერმენი“ 1:5, „ნიცა“ — „მონპელიე“ 2:1.

ჰოლანდია. „ფეიენოორდი“ — „ეინდჰოვენი“ 2:1.

გიორგი ზოთაძე

◎ ხელბურთი

დაწინაურდა „ქუთაისი“

ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის დარბაზში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის დასავლეთის ზონის სამდღიანი ტურნირი. პირველ ტურში „ქუთაისმა“ უახლოესი კონკურენტი “ბათუმი“ დაამარცხა — 28:26, შემდეგ „სამტრედიას“ მოუგო 10 ბურთის სხვაობით — 41:31. ზღვისპირელებმა წყალტუბოს „პრომეთესთან“ ორთაბრძოლაში ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში მორიგი ორი ქულა — 50:31.

ხელვაჩაურში ასპარეზობის ბოლო დღეს „ქუთაისმა“ კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა — ამჯერად წყალტუბოს „პრომეთეს“ აჯობა იოლად და 18 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეში ერთპიროვნულად მოექცა. მეორე ადგილზე გადაინაცვლა „სამტრედიის“ მძლეველმა „შავი ზღვის ბიჭებმა“, რომელიც ლიდერს 2 ქულით ჩამორჩება და მესამე ადგილზე მყოფ სტუ — „ქარიშხალას“ ქულით უსწრებს.

რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ 11 ტურია დარჩენილი. შეჯიბრება თბილისში 13 მარტს განახლდება.

გივი გაგუა

ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა სიმონეთის მიმდებარე ტერიტორია, (უბანი ლუხუთა II) მდ. ყვირილას ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია B+C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 26 400 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა სიმონეთის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	4 292 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	429,2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%)	2 346 ლარი
	თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 28 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 28 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	2 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №2		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზედა საზანოს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ძუსას ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 900 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზედა საზანოს მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	157 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	15,7 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	279 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 28 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 28 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 3		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბალისაკენ, მოქმედი სამთო საქმის წესებისა და ნორმების დაცვით. გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას არ უნდა მოხდეს შიდა, კარიერზე მისასვლელი გრუნტის გზის ფუნქციონირების შეზღუდვა. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთვრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. ე)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ითავაზას მიმდებარე ტერიტორია, (უბანი №1) ითავაზას კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშების საბადო (კატეგორია - B+C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 39 000 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ითავაზას მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	5 936 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	593,6 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	3 168 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 28 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე

12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 28 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 4		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარციხის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 67 200 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარციხის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	9 011 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	901,1 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	4 706 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 28 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 28 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 5		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს შემდგომში ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით. გ) ლიცენზიის მფლობელმა არ დააზიანოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული გზა. ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. დიდი დურნუკის მიმდებარე ტერიტორია, „სამშვილდის“ (უბანი დურნუკი) ბაზალტის (მოსაპირკეთებელი) საბადო (კატეგორია - C_1+C_2, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 198 000 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. დიდი დურნუკის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	67 829 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	6 782,9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	34 115 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 28 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 28 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 6		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოქალაქეებს არ შეუზღუდოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე გადაადგილების უფლება. დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქალაქი თბილისი, სოფ. ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვრის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 8 100 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქალაქი თბილისი, სოფ. ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	1 409 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	140,9 ლარი

10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	905 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 28 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 28 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 7		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები; გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. რაჭისუბნის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მაშავერას ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ოთხივე უბანზე ერთად) - 30 600 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. რაჭისუბნის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	4 658 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	465,8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს 50% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 529 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 28 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 28 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 8		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარიანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. დიდ ლიახვზე, „ლიახვის“ ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია C1+C2, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 102 000 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარიანის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	13 677 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1367,7 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	7 039 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 28 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 28 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე
	თარიღი	
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 9		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები; დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის

		ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორია, მდ. თურდოს ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია P+C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 90 000 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	12 068 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1206,8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	6 234 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 28 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 28 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 10

უნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს
		დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუა ბაშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 91 500 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუა ბაშის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	12 269 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1226,9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	6 335 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 28 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 28 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში



ბათუმში ახალი დეკორატიული გამწვანება მოეწყო

ბათუმში **თამარ მეფის გზატკეცილზე, „ბათუმი ცენტრალის" მიმდებარედ არსებულ წრიულზე ახალი დეკორატიული გამწვანება მოეწყო. გამწვანება ხმათა უმრავლესობით შერჩეული ესკიზის მიხედვით განხორციელდა.**

ქალაქში არსებული წრიულების გამწვანების პროექტების საჯარო განხილვასა და შერჩევას გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური სოციალური ქსელის საშუალებით ახორციელებს.

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2017 წლის „24 თებერვლის"
№ 01-3/63 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს საფეხურებრივად, მაღალი ჰიფსომეტრიული ნუშნულიდან დაბლისაკენ (ზემოდან ქვემოთ); ბ) ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული ნორმებისა და წესების დაცვით; გ) ობიექტის ექსპლოატაციის პერიოდში უნდა გამოირიცხოს ფუჭი ქანების ჩაყრა მდინარის კალაპოტში და ასევე ქვათაცვენის პროცესების განვითარება; დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. ჭინკაძეების მიმდებარე ტერიტორია, „ანდეზიტო-ბაზალტის გამოვლინება". (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 192 500 მ³)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭინკაძეები.
7	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	8 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 01 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 04 აპრილის დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 04 აპრილის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 04 აპრილის დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

განცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) მიერ დაფინანსებული „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი" (AMMAR) იწვევს გამოცდილ **ადგილობრივ კომპანიებს** გამოხატონ ინტერესი შემდეგი **დავალების** შესასრულებლად:

ტექნიკური ზედამხედველობა და ხარისხის კონტროლი სარეაბილიტაციო სამუშაოებზე:

გორის მუნიციპალიტეტში არსებული „ძევერა შერთულის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის პკ95+25-დან პკ122+88-მდე მონაკვეთის და I, სხვა რიგის გამანაწილებლებისა და შიდა სამეურნეო ქსელის რეაბილიტაციას გ-19-დან გ-34-მდე", ნაწილი III-ბ

1. ტექნიკური ზედამხედველობა და ხარისხის კონტროლის დავალება განხორციელდება „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტის" (AMMAR) სასოფლო ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების კომპონენტის ფარგლებში. პროექტის (AMMAR) მიზანია საქართველოს სოფელში მცხოვრები ქალების და მამაკაცების შემოსავლების ზრდა და სიღარიბის შემცირება. განვითარების მიზანია კლიმატზე ადაპტირებული სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვში ინვესტირების სტიმულირება მცირემიწიანი ფერმერების შემოსავლების გასაზრდელად და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

2. ამჟამად პროექტი იწყებს **გორის მუნიციპალიტეტში არსებული „ძევერა შერთულის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის პკ95+25-დან პკ122+88-მდე მონაკვეთის და I, სხვა რიგის გამანაწილებლებისა და შიდა სამეურნეო ქსელის რეაბილიტაციას გ-19-დან გ-34-მდე", ნაწილი III-ბ.** დეტალური პროექტი და ნახაზები მოიპოვება დეპარტამენტში.

ზემოთაღნიშნული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მიზნით პროექტი გეგმავს ხელშეკრულების გაფორმებას ტექნიკური ზედამხედველობის კონსულტანტ კომპანიასთან (შემდგომში „ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია").

დავალების მიზანია, ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც ამასთანავე გულისხმობს სამუშაოების სრულ შესაბამისობას პროექტთან, ტექნიკურ სპეციფიკაციებთან, ნახაზებთან და სხვა საკონტრაქტო დოკუმენტაციასთან და სამუშაოების დადგენილ ვადებში დასრულებას.

წინამდებარე დავალების შესაბამისად დეპარტამენტის ინჟინერ-კონსულტანტის/ზედამხედველის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ და ინფრასტრუქტურის მესაკუთრის (შპს „საქართველოს მელიორაცია") წარმომადგენელთან თანამშრომლობით ტექნიკური ზედამხედველობის კომპანიამ ორგანიზება უნდა გაუწიოს და განახორციელოს პროექტის ფარგლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ყოველდღიური ზედამხედველობა. ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია პასუხისმგებელი იქნება სამუშაოების ხარისხისა და მოცულობის საერთო ზედამხედველობაზე, საქართველოს კანონმდებლობისა და სატენდერო დოკუმენტაციის II თავის გ. ნაწილის (ხარისხის კონტროლი) და ბ. ნაწილის (ხარჯების კონტროლი) დებულებების შესაბამისად.

ზედამხედველობისთვის საჭირო მთელი აღჭურვილობა (პერსონალისთვის მანქანების ჩათვლით), ასევე საზომი და საკონტროლო ინსტრუმენტები ტექნიკური ზედამხედველობის კომპანიამ უნდა უზრუნველყოს.

3. მომსახურების ხანგრძლივობაა 8 თვე და 12 თვე დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი, სულ 20 თვე. დავალების სავარაუდო დაწყების თარიღის 2017 წლის აპრილი.

4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ფირმის მიმართ:

1. მსგავსი პროექტებისთვის ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების გამოცდილება;
2. მინიმუმ 3 მსგავსი განხორციელებული პროექტი; საზედამხედველო კომპანიას უნდა ჰქონდეს ტექნიკური ზედამხედველობის გამოცდილება შემდეგ ან მსგავსი ტიპის სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, კერძოდ: სარწყავი არხები; სადრენაჟე არხები; კოლექტორები, მილსადენები; ჰიდროტექნიკური ნაგებობები; გზები; ხიდები; სამოქალაქო/სამრეწველო ნაგებობები.
3. ფირმის მიერ შემოთავაზებული სპეციალისტების კვალიფიკაცია და გამოცდილება შესაბამის დარგში.

ზედამხედველების ჯგუფი უნდა დაკომპლექტდეს უმაღლესი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე ტექნიკური სპეციალისტებით. შესაბამისი პროფესიული გამოცდილება ნიშნავს მსგავსი ხასიათის სამშენებლო პროექტებში შესაბამის სფეროში მუშაობის ფაქტიურ გამოცდილებას.

ზედამხედველობისა და კონტროლისთვის საჭირო პერსონალი, როგორც მინიმუმ, უნდა მოიცავდეს გამოცდილ (1) ჯგუფის ხელმძღვანელს/მშენებელ ინჟინერს, (2) საველე ზედამხედველებს და (3) ტოპოგრაფს.

1. ჯგუფის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

- უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია სამშენებლო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
- ზედამხედველობის მინიმუმ 10-წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
- მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
- საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;
- პრაგმატული, შემოქმედებითი და ენერგიული მიდგომა პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღებისადმი და კონტრაქტორებსა და სოფლის მოსახლეობასთან ეფექტური მუშაობის უნარი.

2. საველე ზედამხედველის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია სამშენებლო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;

ზედამხედველობის მინიმუმ 10-წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;

მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;

საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;

პრაგმატული, შემოქმედებითი და ენერგიული მიდგომა პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღებისადმი და კონტრაქტორებსა და სოფლის მოსახლეობასთან ეფექტური მუშაობის უნარი.

3. ჯგუფის ტოპოგრაფის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

- უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია სამშენებლო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
- ზედამხედველობის მინიმუმ 5-წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
- მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
- საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;
- პრაგმატული, შემოქმედებითი და ენერგიული მიდგომა პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღებისადმი და კონტრაქტორებსა და სოფლის მოსახლეობასთან ეფექტური მუშაობის უნარი.

5. ადგილობრივი ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია შერჩეული იქნება კვალიფიკაციის მიხედვით.

6. ინტერესის შემთხვევაში და დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ წერილობით ჩვენ ელ-ფოსტაზე. ინტერესის გამოხატვის წერილი შეიძლება ელექტრონულად გამოგზავნილი იყოს და თან უნდა დაერთოს:

1. მოკლე ინფორმაცია თქვენ ფირმაზე;
2. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი (პროექტის განხორციელების, ვადების, დამკვეთის და ღირებულების ჩათვლით);
3. ინფორმაცია ამ დავალებისთვის შემოთავაზებული პერსონალის შესახებ (კვალიფიკაციისა და გამოცდილების დეტალური აღწერილობა -CV).

ინტერესის გამოხატვის წერილი ზემოაღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოთ **2017 წლის 13 მარტის 12 სთ-მდე** შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მარშალ გელოვანის გამზირი №6, მე-3 სართული, ოთახი 309
0159 თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 237-80-38
ელ-ფოსტა: Levan.Tskhovrebashvili@moa.gov.ge
cc: Nana.Kupunia@moa.gov.ge

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონის ტურისტულ შესაძლებლობებს რეკლამირება ვროცლავის გამოფენაზე გაუწია

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონის ტურისტულ შესაძლებლობებს რეკლამირება ვროცლავის მე-9 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე გაუწია. პოლონეთში ერთ-ერთ ყველაზე ხალხმრავალ გამოფენაზე ვიზიტორები აჭარის ტურისტული პროდუქტებითა და რეგიონში მოგზაურობით დაინტერესდნენ. გამოფენაზე ვიზიტორების განსაკუთრებული ყურადღება კი ეკოტურისტულ, სამთო და კულინარიულ მარშრუტებზე გაკეთდა.

გამოფენის ფარგლებში სამომავლო თანამშრომლობის მიზნით დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ორმხრივი შეხვედრები გამართეს ტურისტულ და სარეკლამო კომპანიებთან. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი გამოფენაში საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და ტურისტულ სააგენტოებთან ერთად მონაწილეობდა. გამოფენაზე საქართველოს სტენდი სილეზიის სავოევოდოს მარშალთან ერთად მოინახულა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ. აჭარის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დელეგაცია მონაწილეობას ღებულობდა გამოფენის გახსნის ცერემონიალსა და პრესკონფერენციაში, სადაც თავმჯდომარემ სიტყვით გამოსვლისას რეგიონებს შორის თანამშრომლობასა და განხორციელებულ პროექტებზე გაამახვილა ყურადღება.

წლის ბოლომდე, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების წარდგენას ვროცლავის გარდა, პოლონეთში ორ გამოფენაში გეგმავს. კატოვიცესა და ვარშავის საერთაშორისო ტურისტული გამოფენები დამატებითი შესაძლებლობა იქნება დეპარტამენტისთვის პოტენციურ ტურისტებში გამოიწვიოს აჭარაში მოგზაურობის სტიმულირება. პოლონეთი აჭარისთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ტურისტული ბაზარია, სადაც რეგიონის რეკლამირებას დეპარტამენტი გაზაფხულიდან დაიწყებს.

თუშეთში ზამთრის ტურიზმის სამთო ინფრასტრუქტურა განვითარდება

თუშეთში ზამთრის პერიოდის საექსპედიციო კვლევები და სავალე სამუშაოები მიმდინარეობს, რომელსაც სამთო ექსპერტებისგან დაკომპლექტებული და სპეციალური თოვლმავალი ტექნიკით აღჭურვილი ჯგუფი ახორციელებს. ჯგუფის შემადგენლობაში არიან ეკონომიკის სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის, ააიპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის", „სტუდია 21"-ის, მათი პარტნიორი „გეოგრაფიკის" წარმომადგენლები, ასევე სამთო-სათხილამურო კურორტებისა და ტრასების დაგეგმარების სპეციალისტ-ექსპერტები.

პროექტის ფარგლებში თუშეთის ტერიტორიაზე ექსპედიცია განახორციელებს ზამთრის პერიოდის საექსპედიციო კვლევების ჩატარებას, რომელიც თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე და ამ ტერიტორიის მიწათსარგებლობის არსებული რეგლამენტის ადეკვატური, ზამთრის ტურიზმის შესაძლებლობების გამოვლენასა და შესაბამისი სამთო ინფრასტრუქტურის დაგეგმვას გულისხმობს. სპეციალისტები 1 კვირის განმავლობაში ჩაატარებენ საველე სამუშაოებს თუშეთის ტერიტორიაზე. საბაზო წერტილად გამოყენებული იქნება სოფელი ომალო.

დიდუბის რაიონში სკვერების რეაბილიტაცია დაიწყო

დიდუბის რაიონის გამგეობამ დიდუბესა და დიღმის მასივში სკვერების რეაბილიტაცია დაიწყო. ამ ეტაპზე სამუშაოები 8 მისამართზე მიმდინარეობს.

„წყალტუბოს ქუჩის №1,2,3,4-ში, ცაბაძის ქუჩის №1,2-ში, წერეთლის გამზირის №55ა, 61, 71-73 და 132-ში, ასევე, დიღმის მასივის, მე-3 კვარტალის მე-11, მე-12 კორპუსებთან კონტრაქტორი კომპანია დაზიანებული ინვენტარის დემონტაჟს ახორციელებს. რეაბილიტაციის ფარგლებში შეიცვლება საფეხმავლო ბილიკები, სანაგვე ურნები, საპარკე სკამები, პატარებისთვის კი სათამაშო ატრაქციონები დამონტაჟდება. სკვერების რეაბილიტაციის სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შ.პ.ს „ქაგა" ახორციელებს", — აცხადებენ მერიაში.

ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის მემორიალური ბინა-მუზეუმის განახლებული ექსპოზიცია

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, მუნიციპალური მუზეუმების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის, ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის მემორიალური ბინა-მუზეუმის განახლებული ექსპოზიცია გახსნა. ექსპოზიცია სიმბოლურად, ვახტანგ ჭაბუკიანის 107-ე დაბადების დღეს მიეძღვნა.

მუზეუმი, რომელშიც 4565 ექსპონატია დაცული, ერთი თვის განმავლობაში დახურული იყო. შენობაში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, განხორციელდა ექსპონატების აღწერა და რესტავრაცია, ასევე რეექსპოზიცია.

ღონისძიების ფარგლებში, პირველად გამოიფინა დიდი ქართველი ბალეტმაისტერის ვახტანგ ჭაბუკიანის სასცენო კოსტიუმები ისეთი წარმატებული სპექტაკლებიდან, როგორებიცაა — „წითელი ყაყაჩო“, „ცეცხლის ცეკვა მაშხალებით“, „ოტელო“, „რაიმონდა“, „ლაურენსია“, „ტარას ბულბა“, „კორსარი“, „კარმენი“, „დონ-კიხოტი“ და „ბაიადერა“.



დავით ნარმანიას განცხადებით, მიმდინარე წელს, თბილისის მერიის ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანება“ არაერთ მნიშვნელოვან პროექტს განახორციელებს.

„გაკეთდა ძალიან მნიშვნელოვანი საქმე, განახლდა ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ბინა-მუზეუმი, სადაც დღეიდან გამოფენილია ყველა ის საინტერესო ნივთი და ექსპონატი, რომელიც მის ცხოვრებას და მოღვაწეობას უკავშირდება. დარწმუნებული ვარ, რომ ექსპოზიცია არაერთ მნახველს გაახარებს და მისცემს იმ, ასე ვთქვათ, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც დღემდე საზოგადოებისთვის იყო უცნობი,“ — განაცხადა თბილისის მერმა.

მუზეუმს ის ადამიანებიც სტუმრობდნენ, ვინც ცნობილ ბალეტმაისტერს პირადად იცნობდა, მასთან პროფესია ან მეგობრობა აკავშირებდა. ცნობილი გახდა, რომ კომპოზიტორ შალვა დავითაშვილის ოჯახი ჭაბუკიანის მუზეუმს პირად არქივში დაცულ უნიკალურ ჩანაწერს გადასცემს, რომელშიც ბალეტმაისტერის ინტერვიუ და ფილმი-ბალეტის „ლაურენსია“ სრული ვერსიაა ასახული.

ვახტანგ ჭაბუკიანი ქართველი მოცეკვავე, ბალეტმაისტერი, სსრკ სახალხო არტისტი და ქართული პროფესიული ბალეტის ფუძემდებელია.

სანთელი

თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების წევრი

ალიკა გულუა

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი თანამოქალაქე

ჯონდი ჯოჯუა

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

საგადასახადო დავალიანება ჩამოეწერათ

საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, ცვლილების ამოქმედებიდან (02.06.2016 -23.02.2017) დღემდე, საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის მიხედვით, გადასახადის 34 449 გადამხდელს ჩამოეწერა საგადასახადო დავალიანება ჯამში 1 451 705 992.00 ლარი. მათ შორის:

ა) ნაწილით — 33 884 გადამხდელს 1 448 680 564.00 ლარი,

ბ) ნაწილით — 551 გადამხდელს 3 016 760.00 ლარი,

გ) ნაწილით — 14 გადამხდელს 8 668.00 ლარი..

აღნიშნული ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2016 წლის მაისში შევიდა (გამოქვეყნების თარიღი — 2016 წლის 1 ივნისი). ცვლილების თანახმად, 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის ა) და ბ) ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის შესაბამისად ჩამოწერას დაექვემდებარა:

ა) 2011 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ამ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანების თანხა, თუ პირს თანხის ჩამოწერამდე აქტივობები არ უფიქსირდება, არ წარმოუდგენია საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება (გარდა ქონების გადასახადის დეკლარაციისა) ან საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშების საფუძველზე არ ფიქსირდება ერთობლივი შემოსავალი;

ბ) 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული საურავი და 2013 წლის 1 იანვრამდე დარიცხული აღიარებული ჯარიმა, აღიარებული გადასახადის თანხის გადახდის პირობით, თუ პირს თანხის ჩამოწერამდე აქტივობები არ უფიქსირდება, არ წარმოუდგენია საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება (გარდა ქონების გადასახადის დეკლარაციისა) ან საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშების საფუძველზე არ ფიქსირდება ერთობლივი შემოსავალი.

გ) საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის ფიზიკური პირისათვის 2013 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დარიცხული და ამ ნორმის ამოქმედებამდე გადაუხდელი ჯარიმა (გ) ნაწილი დარჩა უცვლელი).

შემოსავლების სამსახური საგადასახადო დავალიანების ჩამოწერას ახორციელებს როგორც თავისი ინიციატივით, ასევე გადამხდელის მომართვის შემთხვევაში.

◎ რეალობა და საფრთხეები

სამუშაო და პროფესიის ანარეკლი ხასიათი

შეუძლია თუ არა სამსახურს პიროვნების შეცვლა და გარშემო მყოფებთან მის ურიერთობებზე ზეგავლენის მოხდენა? თურმე ეს სავსებით შესაძლებელი ყოფილა, თანაც შედეგი ხშირად იმდენად საგანგაშოა, რომ ფსიქოანალიტოსების ჩარევას საჭიროებს.

საქვეყნოდ ცნობილი როკ-ჯგუფის „დორსის“ სოლისტის ჯიმ მორისონის საეკრანო სახეზე მუშაობისას, ჰოლივუდელი მსახიობი **ველ კილმორი** იმდენად შეერწყა თავის გმირს, რომ მისი ყველა სიმღერა დაიზეპირა, ლაპარაკი მისი ხმის ტემბრით დაიწყო და ყოველდღიური ჩვევებიც გადაიღო. მართალია, შედეგმაც არ დაყოვნა — ეს როლი მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში ერთ-ერთი საუკეთესო გახდა, მაგრამ კინოფილმის გადაღების დასრულების შემდეგ ახლობლებმა შეამჩნიეს, რომ ველმა მუსიკოსის ჩვევები უკვე საკუთარ ყოფაში გადაიტანა, კვლავაც მისი ხმით ლაპარაკობდა, ბოლოს კი მსახიობი თავადაც მიხვდა, რომ მუსიკოს ზეგავლენას თავს ვერ აღწევდა და დასახმარებლად ფსიქოანალიტიკოსს მიმართა.


ВЕЛ КИЛМОРИ

იგივე ამბავი დაემართა მის კოლეგას **ჯარედ ლეტოს**, რომელმაც კინოფილმ „თვითმკვლელთა რაზმში“ ბოროტმოქმედის როლი შეასრულა. გადასაღებ მოედანზე იგი მუდამ თავისი გმირივით იქცეოდა, კოლეგებს კი, ჯოკერის მსგავსად (ასე ჰქვია მის გმირს), უჩვეულო საჩუქრებს — ხანცოცხალ ვირთაგვას, ტყვიებიან კონვერტებს, ან უცნაურ ვიდეოკლიპებს უგზავნიდა.


ჯარედ ლეტო

ამ საფრთხეს ვერც ცნობილი **რიჩარდ გირი** გადაურჩა, რომელსაც იმ დროს, როცა უსახლკარო მაწანწალის როლზე მუშაობდა, გადაღებებს შორის შუალედებში ხშირად ხედავდნენ, რომ სანაგვე ყუთებში იქექებოდა.

ამ მოვლენას, რომელიც არა მარტო მსახიობებისთვისაა დამახასიათებელი, ფსიქოლოგებმა საგანგებო ტერმინიც მოუგონეს —„პროფესიული დეფორმაცია“. სპეციალისტებმა იმ პროფესიების ნუსხაც კი შეადგინეს, რომლებიც ხშირად კვალს ამჩნევენ პიროვნების ხასიათს. ამ სიაში მოხვდნენ მასწავლებლები, რომლებიც ხშირად ხდებიან ავტორიტარულები, არანაირი კრიტიკის გაგონება არ სურთ და არაფრად აგდებენ გარშემო მყოფთა აზრს. პროფესიულ დეფორმაცია ხშირად ემართებათ სამხედროებს, რომლებიც ხშირად საკუთარი ოჯახის წევრებს ჯარისკაცთა ოცეულისგან ველარ არჩევენ და ბრძანებებით არა მხოლოდ ყაზარმაში, არამედ სახლშიც ლაპარაკობენ. ამ ცვლილების მსხვერპლი ძალიან ხშირად ხდებიან სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები, რომლებიც ეჭვის თვალით უცქერენ ირგვლივ მყოფთ და ყველანი პოტენციური დამნაშავენი ჰგონიათ.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ესა თუ ის პროფესია ადამიანებთან ურთიერთობაში არანაირ სპეციფიკას არ გულისხმობს, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მისი წარმომადგენელი ხასიათის ცვლილებებისგან სავსებითაა დაცული. მაგალითად, **დიდი ხანია, ცნობილია, რომ ადამიანებს ძალიან ცვლის ძალაუფლება და უფროსის სავარძელში ჩამჯდარი კაცი ხშირად ტირანი ხდება ხოლმე, რომელიც ოჯახშიც მბრძანებლობას იწყებს.**

პროფესიული დეფორმაციის მიზეზი ძალიან ხშირად სტრესი ხდება — ემოციური დაძაბულობის შესაგუებლად, რომელსაც თანამშრომელი სამსახურში განიცდის, მას საკუთარ თავში გარკვეული თვისებების გამომუშავება უხდება, რომელთა ოფისის კედლებში „დატოვება“ სრულიად შეუძლებელია. ხშირად ხასიათზე დიდ ზეგავლენას ახდენს ზედმეტად ერთფეროვანი მონოტონური სამუშაო, რომლის შემდეგ ადამიანს, ასე ვთქვათ, „გადაწყობა“ და სხვაგვარად მოქცევა, ფაქტობრივად, აღარ შეუძლია. ბევრჯერ კი პიროვნების თვისების ცვლა ერთგვარი პროფესიული „გადაწვის“ ფონზე ხდება. მაგალითად, როცა უწინ ყოველი პაციენტის მდგომარეობის გამზიარებელი ექიმი, ავადმყოფების უსულო საგნებად აღქმას იწყებს, ცინიკოსი ხდება არა მარტო სამსახურში, არამედ ყოველდღიურ ყოფაშიც.

რიჩარდ გირი

როგორ უნდა მოვიქცეთ ამ დროს? თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ სამუშაო ხასიათს ყოველთვის არ აფუჭებს, ზოგჯერ, სულაც, პირიქით ხდება და პროფესიული უნარ-ჩვევებს ყოველდღიურ ყოფაშიც სარგებელი მოაქვს. მაგრამ, თუკი თქვენ და თქვენმა ახლობლებმა შეამჩნიეთ, რომ სამსახური გარშემო მყოფებთან ნორმალურ ურთიერთობებში ხელს გიშლით, საჭიროა სათანადო ზომების მიღება. საამისოდ კი აუცილებელია სამსახურისა და პირადი ცხოვრების გამიჯვნა, რისთვისაც, უწინარესად, წესად შემოიღეთ იმუშაოთ მხოლოდ სამსახურში.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ



ვერნისაჟი

მომაჯადოებელი ექსპოზიცია მონარდეთა და ხელოვანთათვის





გალერეა შარდენი უკვე მეოთხე დღეა, მეტად ორიგინალურ გამოფენას მასპინძლობს. დედაქალაქელებსა და დედაქალაქის სტუმრებს საშუალება აქვთ, იხილონ — მამუკა მეგრელიშვილის „ნარდი“.

მამუკა ფართო საზოგადოებისთვის, მინანქრის მხატვრადაა ცნობილი, იშვიათად, მაგრამ ფერწერული ტილოებითაც დაუტკბია მისი ხელოვნების მოყვარულები. ამჯერად კი მეტად ორიგინალური ექსპოზიციით წარმოგვიდგა და დიდი ყურადღებაც დაიმსახურა — ხეზე ნაკვეთი ორიგინალური ნარდი, ერთდროულად მონარდეთა ყურადღების ცენტრშიც ხვდება, როგორც ამ უძველესი თამაშის მოწყობილობა და ხელოვნების მოყვარულთა ინტერესს იწვევს, როგორც კედელზე გამოფენილი ფერწერის ნიმუში.

მამუკა მეგრელიშვილი პროფესიით არქიტექტორია. ეს გამოფენა მისთვის მეშვიდე პერსონალურია, რომელიც 10 მარტამდე გააოცებს მნახველს. საგამოფენო დარბაზში ორიგინალური 14 „ნარდის“ გარდა მხატვრის ფერწერული ტილოები და მინანქარია გამოფენილი.

ელგუჯა ნადარეიშვილი.
ავტორის ფოტო

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

რა აღიბეჭდება სახეზე?



ცნობილია, რომ გარემო, რომელშიც კაცი ცხოვრობს და ის ხალხი, ვისთანაც იგი ურთიერთობს, მის გარეგნობაზე გარკვეულ კვალს ტოვებს და გენეტიკაზე არანაკლებად მოქმედებს.

სავსებით ბუნებრივია, რომ გარემო ჩვენს ჩვევებს, ტრადიციებს, საკომუნიკაციო მოქცევას, ენასა და ურთიერთობის მანერას (გულღიობას, მეტყველების სიჩქარეს, იმპულსურობის დონესა და ა.შ.) განსაზღვრავს, ისინი კი, თავის მხრივ, სახის ნაკვთებზე აისახებიან.

მაგალითად, ფიზიოგნომისტებმა შეამჩნიეს, რომ მათ, ვინც ნელა მეტყველებს, დიდი ნიკაპი აქვთ, ხოლო ვინც სხაპასუხპით ლაპარაკობს — პატარა. ინგლისელებს ლაპარაკის დროს თავი მაღლა უჭირავთ, ამიტომაც მათ „ხისტი“ ზედა ტუჩი აქვთ. იაპონელებსა და ვიეტნამელებს სხვა თავისებურება გამოარჩევთ: მათში საუბრისას მიღებულია კაცის არა თვალებში, არამედ კისრის არეში ყურება, რაც მათ გარეგნობას აყალიბებს. იტალიელებსა და ბერძნებს ხშირად ასაკთან შედარებით დიდი შეხედულება აქვთ, რის მიზეზი მხოლოდ ისიაა, რომ პირღიმილიან ხალხებს სახეზე ბევრი ნაოჭი აქვთ, რასაც, მაგალითად, რუსებზე ნამდვილად ვერ ვიტყვით, ვინაიდან მათთვის ყოფითი სიკუშტეა დამახასიათებელი.

კოსმოსურ ტურისტთა საყურადღებოდ!



გულის სისხლძარღვთა დაავადებებისგან სიკვდილის რისკი, ასტრონავტებში 4-5-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე იმათში, ვისაც დედამიწის ორბიტის ზღვარი არასდროს დაუტოვებია, გვაფრთხილებენ ფლორიდის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერები.

მკვლევარები 24 ასტრონავტის ჯანმრთელობას აკვირდებოდნენ, რომლებიც 1961-1972 წლებში პროგრამა „აპოლონის“ რეალიზაციაში მონაწილეობდნენ. ამ ხნის მანძილზე 11 მართვადი გაფრენა შესრულდა, რომელთაგან 6 მთვარეზე დაჯდომით დასრულდა. შვიდი ასტრონავტი დაკვირვების პერიოდში გარდაიცვალა, რომელთა სიკვდილის მიზეზი გულთან დაკავშირებული პრობლემები გახდა.

ამის გარდა, მეცნიერებმა თაგვებზე ექსპერიმენტები ჩაატარეს, რომლებმაც რადიაციის ისეთივე დოზა მიიღეს, რომელიც პროგრამა „აპოლონის“ მონაწილეთა მიერ მიღებული რადიაციის შესადარია. დაახლოებით 6 თვის შემდეგ, რაც ადამიანის სიცოცხლის 20 წელს უდრის, თაგვებში სისხლძარღვთა მუშაობაში პრობლემები წარმოიშვა.

მომავალში, როცა კოსმოსური ფრენები უფრო ხშირი გახდება, საჭიროა იმის დადგენა, თუ როგორ აისახება ყოველივე კოსმოსური ტურისტების ჯანმრთელობაზე.

თუკი, დედობა გსურთ...

ნაყინი, თურმე... ქალის დაფეხმძიმებას უწყობს ხელს.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ იმ ქალებს, ვინც უცხიმო რძის პროდუქტებს მოიხმარს, უშვილობის პრობლემა იმაზე ორჯერ უფრო ხშირად წარმოექმნებათ, ვინც ჩვეულებრივი ცხიმიანობის რძის ნაწარმს (მაგალითად, ნაყინს) მიირთმევს.

მათი აზრით, რძის ცხიმიანი პროდუქტები ქალის ჰორმონალურ სტატუსს ჩასახვისთვის უფრო ხელსაყრელს ჰქმნის.

როცა დაავადება უკან იხევს

ცნობილი სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი **ნანა მელია-პაიჭაძე** წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით 1. ძვალ-სახსროვან დაავადებებს: მარილებს, კისრის, მუხლ-სახსრის, მენჯ-ბარძაყის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთებას; 6. ფეხის ტერფის, ქუსლის ტკივილს.

ვისაც გსურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: *ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.* ნანა მელია-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5883; ევრო - 2.7402;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2470;
100 რუბლი - 4.4717; თურქული ლირა - 0.7241;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4541;
1000 სომხური დრამი - 5.3192.

ამინდი 28 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -3	დღე +18
მთიანი რაიონები -	ღამე -8,	დღე +15
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +1,	დღე +20
მთიანი რაიონები -	ღამე -3,	დღე +18
თბილისი:	ღამე +1,	დღე +16

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge